

შუამავალი ამერიკა

A3



ძიუდო ევროპულად

A6



თბილისი - ათენი

A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 10 მარტი, 2006 წელი. №51 (1203)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### განსხვავებული აზრის სიმცირე ქართულ მედიაში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 2005 წლის განმავლობაში საქართველოს ბეჭდვითი მედია გაცილებით უფრო კრიტიკული იყო ადგილობრივი მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმართ, ვიდრე ტელევიზია.

A2

## პოლიტიკა

### სეპარატიზმის დამარცხების მარტივი ფორმულა

ევროკომისიის, უკრაინისა და მოლდოვას მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, უკრაინა-მოლდოვას საზღვრის მონიტორინგს ევროკავშირის საზღვრის კონტროლის ხელშეწყობის მისია განახორციელებს. ფაქტობრივად, დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა – მას ორი წამგებიანი ნაბიჯიდან ერთ-ერთის არჩევა მოუწევს.

A3

### რატომ უჩივლა ბიძინა ივანაშვილმა ამერიკელ ინვესტორს და ორი შვილის დედას, თამარა ტიფანის სასამართლოში?

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.



გაზეთ "24 საათის" რედაქციის ახალი მისამართია: გამრეკელის ქ. N51 (შესასვლელი ნუცუბიძის ქუჩიდან) ტელ: 20-24-24, 31-93-90, 31-93-91, 31-93-86





## ამინდი

| | 10/03 | 11 /03 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 13 |
| ტყიბული | 4 | 15 |
| სოხუმი | 6 | 15 |
| ბორი | 3 | 11 |
| ონი | -3 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.1855 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1888 |
| რუბლი | 0.0654 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ეკონომიკა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |
| ტენდერი | B1-B4 |



# მნიშვნელოვანი მოთამაშე

*საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა, - მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტი. სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდში გუშინ "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" სტრატეგიული სესიის გახსნაზე მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომზეც ისაუბრა. ფორუმში მონაწილეობა თბილისში ვიზიტით მყოფმა, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ მიიღო.*

გაგრძელება A3 გვერდზე





*კონფერენციაზე პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს მეგობრებზე და არც მტრები დაივიწყა.*

# წინ და უკან

## პარლამენტიდან კანცელარიამდე

თამარ მაისურაძე

*პარლამენტის შენობასთან ერთი კვირის წინ დაგეგმილი აქცია განსაზღვრულ დროზე ადრე დაიწყო. აქციას დროდადრო უერთდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული მოვაჭრეები. ვინც თბილისში ვერ ჩამოვიდა, პროტესტი ადგილზე გამოხატა. სალარო-აპარატების დადგმის წინააღმდეგ მოვაჭრეები ქუთაისში, ახალციხეში, ფოთში, ზუგდიდში, სენაკსა და ხობშიც გამოვიდნენ.*

გაგრძელება A2 გვერდზე



*პარლამენტის წინ ვითარების გამწვავება მოძრაობის გადაკეტვას მოჰყვა.*

# ბიზნესი მდგრადია, თუ პოლიტიკას არ ეხება

მაია ქალაგანიძე

*რუსთაველზე, ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორია არის უკანასკნელი ადგილი, რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულის უმძიმეს დღეებს გვაგონებს. ადრე აქ საქართველოში პირველი ევროპული ტიპის სასტუმრო „ორიენტი“ იდგა, შემდეგ სასტუმრო "ინტურისტი", მერე იყო მხატვრის სახლი და მერე - ომი, რომელმაც საზოგადოებისთვის ძალიან პოპულარული და საყვარელი ეს ადგილი შეიწირა. დღეს ამ ადგილის მფლობელი „ჯი ემ თი“ ჯგუფი აქ საერთაშორისო სტანდარტების მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარებას იწყებს. კომპანიამ პროექტის მართვაში კონსულტაციების გასაწევად ხელშეკრულება გააფორმა ერთ-ერთ უმსხვილეს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან Mace, რომელთან ერთადაც ამ იდეა-პროექტზე დახურული საერთაშორისო კონკურსის ჩატარებას აპირებს.*

*ეს ბიზნეს-ჯგუფი საქართველოს კერძო სექტორში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომელსაც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სხვადასხვა პროფილის 4 კომპანიაში 80 მილიონი დოლარი აქვს დაბანდებული. „ჯი ემ თი“ ჯგუფის საკუთრებაშია სასტუმროები „თბილისი მარიოტი“ და „ქორთიარდ მარიოტი“, „ა“ კლასის საოფისე ფართი „ჯი ემ თი პლაზა“, ყოფილი რესტორანი „მთაწმინდა“ და რძის პროდუქტებისა და წვენების მწარმოებელი კომპანია „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“. ამერიკელ ინვესტორებთან ერთად პროექტების განხორციელებაში მონაწილეობს ამერიკის სამთავრობო სააგენტო „ოპიკი“. როგორ შემოდიოდა ბაზარზე „ჯი ემ თი,“ რა რისკები იყო 10 წლის წინ და რა პრობლემებია ახლა. ამის შესახებ საუბრობს „ჯი ემ თი“ ჯგუფის პრეზიდენტი ბატონი გიორგი თავაძე.*

გაგრძელება A8 გვერდზე





# ნატო-ს მისიის პირველი შეფასებები

### საქართველოს მთავარი ამოცანა დაწყებული რეფორმების ბოლომდე მიყვანა და პროცესების მშვიდობიანად წარმართვაა

*საქართველოში სამდღიანი ვიზიტის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ, ნატო-ს ექსპერტები დასკვნას აპრილში დაწერენ და საქართველოში გამოგზავნიან. სწორედ მისიის დასკვნაზე იქნება დამოკიდებული, მიიღებს თუ არა საქართველო წლის ბოლომდე გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის ექსპერტთა შვიდკაციანი დელეგაცია საქართველოში 6 მარტიდან იმყოფება.*

ნათია მსხილაძე

ნატო-ს შემფასებელთა მისიის ხელმძღვანელმა ფრენკ გოლანდმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, გიორგი ბარამიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ იგი საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმების მასშტაბით გაოცებულია.

**"ამ მიმართულებით დიდი სამუშაო გაწეული და მიღებული ინფორმაციით კმაყოფილები ვართ,"** - აღნიშნა ფრენკ გოლანდმა.

სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, საქართველოს მთავარი ამოცანა დაწყებული რეფორმების ბოლომდე მიყვანა და პროცესების მშვიდობიანად წარმართვაა. **"საქართველოში ვიზიტისას მისია ხაზგასმით აღნიშნავდა ქვეყნის პროგრესს პროგრამის ყველა მიმართულებით. არ ველოდი, რომ მისიის ხელმძღვანელი თბილისშივე გააკეთებდა მინიშნებას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მისიის შეფასება საქართველოს მიერ ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულების თაობაზე,"** - აცხადებს ბარამიძე.

მისიის დასკვნის განხილვა ბრიუსელში, ნატო-ს შტაბბინაში, 13 აპრილს იგეგმება. გარდა გიორგი ბარამიძისა, განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მკვლელობის მოტივი

### ნიკა ლომინაძის საქმის უკვე გამოძიებული დეტალები

**(წერილი მეორე)**

*გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი შეხვდა და დახმარება აღუთქვა დავით მჭედლიძეს – დაცვის პოლიციის ყოფილ თანამშრომელს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ექვსი თვე გაატარა ციხეში "AES თელასის" ფინანსური დირექტორის ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამო.*

სოფიკო ჩხაიძე

დაცვის პოლიციის თანამშრომელი დავით მჭედლიძე ნიკა ლომინაძის მკვლელობიდან რამდენიმე თვეში დააკავეს – მასზე რეგისტრირებული სატაბელო იარაღიდან ნასროლი ტყვია, FBI-ის ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, აბსოლუტურად იდენტური გახლდათ იმ ერთადერთი ტყვიისა, რომლითაც ნიკა ლომინაძე მოკლეს. ფირმა "ომეგას" მეპატრონის თამაზ ოქუაშვილის მამის დაცვის წევრს, რომელსაც მისივე საკუთრებაში არსებული იმ მანქანების სადგომის მეთვალყურეობა ევალა, რომელზეც ნიკა ლომინაძე აჩერებდა მანქანას, ჯერ რაიონულმა, მერე კი საოლქო სასამართლოს მოსამართლეებმა ისე შეუფარდეს წინასწარი პატიმრობა, რომ მისი ბრალეულობის თავად ბრალმდებლებს, თბილისის პროკურატურის გამომძიებლებსაც კი არ სჯეროდათ. დაპატიმრებიდან ექვსი თვის თავზე დავით მჭედლიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს იმ მიზეზით, რომ FBI-ის მიერ იდენტიფიცირებული ტყვიის გარდა გამოძიებამ ვერ მოიპოვა ვერავითარი მტკიცებულება, რომლითაც მჭედლიძის მკვლელობასთან კავშირს დაამტკიცებდა და, რაც მთავარია, ვერ მიაკვლიეს ვერავითარ შესაძლო მოტივს, რომლის გამოც დავით მჭედლიძეს შეიძლებოდა ნიკა ლომინაძე მოეკლა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# იყო თუ არა „ფინანსური ამნისტია" ამნისტია?

*საქართველოს ხელისუფლებამ ბიზნესმენებთან „ახალი წესებით“ თამაშის პირობა ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ დადო. რევოლუციის შემდეგ ორი არჩევნები იყო მოსაგები - საპრეზიდენტო და საპარლამენტო და ამ შეპირებამ, საგადასახადო ლიბერალიზაციის შესახებ დანაპირებთან ერთად, ამომრჩევლებზე მშვენივრად „იმუშავა“. არჩევნები დამთავრდა, გამარჯვება მოპოვებულია. იყო თუ არა „ფინანსური ამნისტია“ ამნისტია?*

დიანა ჩაჩუა

ფინანსურ ამნისტიაზე ლაპარაკის დაწყებით საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა ის, რაც აქამდე ყველამ, მით უმეტეს, ბიზნესის სფეროში მოღვაწე ადამიანებმა ისედაც კარგად იცოდნენ. კერძოდ: საქართველოში, ცხადია, ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პირობებში, საკუთარი ბიზნესის გადასარჩენად, მეწარმე იძულებული იყო, ბიუჯეტისთვის გადასახადები დაემალა. თუმცა მათ მიერ დამალული ამ გადასახადების დიდი ნაწილი სხვა მიმართულებით – სხვადასხვა ჩინოვნიკთა ჯიბეებში მიდიოდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ ბიზნესმენებს შემდგომი ურთიერთობის ასეთი ფორმა შესთავაზა: თუ კერძო ორგანიზაციები, ფინანსური დეკლარაციის შევსებისას, მიუთითებენ ბიუჯეტისთვის 2004 წლამდე დამალული გადასახადების ოდენობას, ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადების ნაწილს მეწარმეები, მართალია, "შეცვლილი მისამართით", მაგრამ მაინც იხდიდნენ, ხელისუფლებამ მათ ერთ მილიონამდე დამალული გადასახადის პატიება აღუთქვა.

თენგიზ გოგიჩაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ფინანსური ამნისტიის პირობებს გამოეხმაურა და 3-მილიონიანი საბიუჯეტო დავალიანების არსებობა აღიარა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ხელისუფლების სიჯიუტე და იგნორირებული ოპოზიცია

## ოპოზიციამ უმრავლესობა ვერც ამჯერად „აცდუნა“

*პარლამენტის წინ გუშინ გამართული საპროტესტო აქციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ოპოზიციამ უმრავლესობასთან საერთო ენის გამონახვა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ საკანონმდებლო ინიციატივამ, რომელიც საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებას უკავშირდებოდა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.*

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციის მიერ მომზადებული კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანას გულისხმობს, რომლითაც საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან გათავისუფლდება ყველა ის ფიზიკური პირი, ვინც დაქირავებულ შრომას არ იყენებს და ამ პირებს ისეთივე რეჟიმში გადაიყვანს, როგორშიც, მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებლები არიან. გარდა ამისა, „დემოკრატიული ფრონტი“ ითხოვს, რომ აღნიშნული შეღავათი შეეხოს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ვინც საკვები პროდუქტებით ვაჭრობს, მიუხედავად იმისა, ამ პროდუქტს თავად აწარმოებს თუ სხვისგან აქვს შეძენილი.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კახა კუკავა განმარტავდა, რომ ოპოზიცია საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნევს, ეს პროცესი დიფერენცირებულად და ეტაპობრივად განხორციელდეს. კერძოდ, რადგან ბაზრობებზე როგორც წვრილი მოვაჭრეები, ისე სოლიდური სავაჭრო ობიექტების მფლობელები არიან, სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება პირველ ეტაპზე იმ კატეგორიას უნდა დაეკისროს, ვისი სავაჭრო ბრუნვაც შედარებით მაღალია.

თავისი არგუმენტების გასამაგრებლად „დემოკრატიული ფრონტის“ პოლიტიკურ მდივანს ჩეხეთის მაგალითი მოჰყავს, სადაც, მისი თქმით, საკონტროლო-სალარო აპარატების ფართოდ გამოყენების ვალდებულება მხოლოდ 2007 წლიდან შედის ძალაში და ისიც მხოლოდ იმ პირებზე გავრცელდება, რომლებიც 50 კრონზე უფრო ძვირი საქონლით ვაჭრობენ.

**„ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი თავად ადასტურებს, რომ ორ წელიწადში სალარო აპარატებით მხოლოდ თბილისის ცენტრალურ ნაწილში არსებული სუპერმარკეტების აღჭურვა მოხერხდა. ამდენად, ხელისუფლებაც ხედავს, რომ ხელის ერთი დაკვრით პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია და ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს,“** - აღნიშნავს კახა კუკავა, რომელიც მზად არის, თავის ოპონენტებს დაენაძლევოს, რომ ახალი კანონი არ მუშაობს და მოვაჭრეების 99 პროცენტი დღესაც კვლავ ძველი კანონის ჩარჩოებში ცხოვრობს.

**„ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ თქვენი ხელისუფლება ასი წელიც რომ იყოს ქვეყნის სათავეში, ამ კანონის გატარებას მაინც ვერ მოახერხებს,“** - ირწმუნება ოპოზიციონერი დეპუტატი და იქვე, პარლამენტის თავმჯდომარის იმ განცხადებასაც იშველიებს, რომ თავის დროზე კანონი ნაჩქარევად იქნა მიღებული.

„დემოკრატიული ფრონტის“ საკანონმდებლო ინიციატივას „მრეწველებიც“ ეთანხმებიან. ზურაბ ტყემალაძის თანაფრაქციელს გიორგი ცაგარეიშვილს ყველაფერზე მეტად ხელისუფლების სიჯიუტე აოცებს და მთავრობას შეახსენებს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ აღმასრულებელი ხელისუფლება ასევე ეწინააღმდეგებოდა ოპოზიციის მოთხოვნას, არ გაზრდილიყო სიგარეტის აქციზი, მაგრამ ხელისუფლებამ პოლიტიკური ოპონენტების რჩევას ყური არ ათხოვა და, შედეგად, ქვეყნის ბიუჯეტი 18 მილიონი ლარით დაზარალდა.

კახა კუკავას მიერ გუშინ წარდგენილ კანონპროექტს საპარლამენტო უმრავლესობა „ამრეზით“ შეხვდა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, საკონტროლო-სალარო აპარატების თემა ოპოზიციამ პოლიტიკური სპეკულაციების საგნად აქცია. ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე კი ოპოზიციას ორპირობაში ადანაშაულებს.

**„მიტინგზე სხვა რამეს იძახით, აქ კი სხვა რამეს ამბობთ. საპროტესტო აქციების დროს მოვაჭრეთა დიფერენციაზე და თუნდაც მათი ნაწილის მიერ სალარო აპარატის შეძენის თაობაზე ხმას არ იღებთ და მოითხოვთ, მათი გამოყენების ვალდებულებისგან ყველა გათავისუფლდეს,“** - ოპოზიციას არაწესიერ თამაშში სდებს ბრალს გოდაბრელიძე .

მთავრობის წარმომადგენლის ბრალდებას კუკავა უსაფუძვლოდ მიიჩნევს. **„ოთხ საათზე მიტინგზე ჩამობრძანდით და დარწმუნდებით, რომ აქაც და იქაც ერთი და იგივეს ვამბობთ,“** - ანტისახელისუფლებო აქციაზე ფინანსთა მინისტრის „შეტყუებას“ შეეცადა კუკავა.

თუმცა, გოდაბრელიძემ მას იმედი გაუცრუა. ისევე, როგორც „დემფრონტის“ საკანონმდებლო ინიციატივაზე ჩატარებულმა კენჭისყრამ - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ოპოზიციის მიერ მომზადებულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა.

**„ასეთი რამ ჩამორჩენილ, აფრიკის ქვეყნებში ხდება. დაუშვებელია, პარლამენტი მხოლოდ მთავრობისა და უმრავლესობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტებს იწონებდეს, ოპოზიციის მომზადებულ აბსოლუტურად ყველა საკანონმდებლო ინიციატივას კი ბლოკავდეს. ეს არაცივილიზებული მიდგომაა და ჩვენი პარლამენტის სირცხვილია,“** - ოპოზიციური ფრაქციების წევრებმა საკომიტეტო მოსმენა უკმაყოფილოებმა დატოვეს.

# ქუვეითის მთავრობა თბილისში გზებს შეაკეთებს

ქუვეითის მთავრობის მიერ გამოყოფილი კრედიტით 2006 წელს თბილისში 80-მდე ქუჩა შეკეთდება. თბილისის პრემიერ თემურ ქურხულის ქუვეითში ერთკვირიანი ვიზიტი წარმატებულად დასრულდა, ქუვეითის მთავრობა თბილისის გზების რეაბილიტაციისთვის, კრედიტის სახით 15 მლნ დოლარს გამოყოფს. როგორც თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ქუვეითის მთავრობასთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის გასაფორმებლად მომავალ კვირაში ქუვეითში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გაემგზავრება. ქურხულის ინფორმაციით, თბილისის გზების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის აგვისტოდან დაიწყება. ქუვეითის მთავრობის მიერ გამოყოფილი კრედიტი 20 წლის განმავლობაში უნდა დაიფაროს. პირველი ოთხი წლის განმავლობაში ქუვეითის მხარე საქართველოს საპროცენტო განაკვეთისგან ათავისუფლებს. შემდეგი 16 წლის განმავლობაში კი ქვეყანას წლიური 2-3 პროცენტის გადახდა მოუწევს.

*ინტერპრესნიუსი*

# სახალხო დამცველმა ფოთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კომპლექსური შემოწმება დაიწყო

მკაცრი მეთვალყურეობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს კომპლექსური შემოწმების მიზნით, ფოთში ჩავიდა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელიც დაინტერესდა, როგორი სოციალური პირობებია ამ დაწესებულებაში მყოფი სულიერად დაავადებულებისა და პატიმრებისათვის და რამდენად არის მათი უფლებები დაცული.

მონიტორინგის ჯგუფს საავადმყოფოს 96 პაციენტისთვის აქვს 18-პუნქტიანი კითხვარი. ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორის ადგილი ვაკანტურია. რამაზ დევდარიანი ამ თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინ, ჯანდაცვის მინისტრმა გაათავისუფლა. სახალხო დამცველის თქმით, იგი ამ საკადრო ცვლილებითაც დაინტერესდება. როგორც სახალხო დამცველი სოზარ სუბარმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, დღის მეორე ნახევარში დასკვნა უკვე ცნობილი გახდება.

**ინტერპრესნიუსი**

# წინ და უკან პარლამენტიდან კანცელარიამდე

პირველი გვერდიდან

აქცია შალვა ნათელაშვილმა გახსნა და საქართველოს პრეზიდენტს “ულტიმატუმი” წაუყენა: იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი მოვაჭრეების მოთხოვნას შეისმენს და კანონს მათ სასიკეთოდ შეცვლის, ნათელაშვილი პირობას დებს, რომ სააკაშვილს ერთი თვის განმავლობაში არ გააკრიტიკებს.

“ლეიბორისტებთან” ერთად მოვაჭრეების ინტერესებს “დემოკრატიული ფრონტის” წარმომადგენლებიც იცავდნენ. **“ამ ხალხს წვიმაში დგომის მწარე გამოცდილება აქვს. წვიმაში სააკაშვილის კეთილდღეობისთვის არავინ მდგარა. ეს ხალხი კიდევ დადგება, რათა სამართლიანობამ იზეიმოს,”** – აქციის წევრების სახელით განაცხადა კობა დავითაშვილმა.

იმ დროს, როდესაც კონსტანტინე გამსახურდია აქციის წევრებს 50 წლის წინანდელ 9 მარტს ახსენებდა, ხალხის რაოდენობის მატებამ რუსთაველის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა შეაფერხა. გადაკეტილი გზა პატრულმა და სპეცრაზმმა ერთობლივი ძალებით მოკლე დროში გახსნა. სამართალდამცავების საქციელზე კობა დავითაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს მოსთხოვა პასუხი და იგი მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაში დაადანაშაულა. **„ხუთი დღით ადრე, კანონის სრული დაცვით გავუგზავნეთ წერილი ხელისუფლებას იმის შესახებ, რომ ხალხი პარლამენტის წინ მდებარე მოედანზე არ დაეტეოდა და სრული უფლება გვქონდა გადაგვეკეტა რუსთაველის პროსპექტი. ეს აქცია რუსთაველის გამზირზე კანონის სრული დაცვით იმართება,“** – აღნიშნა მან.



პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან აქციის მონაწილეებმა კანცელარიისკენ გადაინაცვლეს.

დავითაშვილის გამოსვლა “ლეიბორისტ” პაატა ჯიბლაძის მოწოდებამ შეცვალა. მან შეკრებილ მომიტინგეებს მოუწოდა, პროტესტის ნიშნად მუშტი შეეკრათ. შემდეგ კი განაცხადა: **„თუ ხელისუფლება ჩვენს მოთხოვნას არ შეასრულებს, ამ მუშტს ცხვირში მიიღებს“.**

“ლეიბორისტი” ჯიბლაძის მოწოდებას “რესპუბლიკელი” დავით ბერძენიშვილის სიტყვა მოჰყვა, რომელმაც ხელისუფლებას მოსახლეობასთან დიალოგისკენ მოუწოდა. **„ხელისუფლება არ აღმოჩნდა ხალხის მიერ მინიჭებული მანდატის ღირსი, რადგან ის დამქირავებლის პირობებს ვერ ასრულებს,“** - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მოგვიანებით ხალხმა მსვლელობა პარლამენტიდან კანცელარიამდე ტროტუარზე განაგრძო. სახელმწიფო კანცელარიასთან ოპოზიციური პარტიების მიერ სახელდახელოდ შემდგარი საინიციატივო ჯგუფი თავიდან პრეზიდენტთან აპირებდა შეხვედრას, თუმცა მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრთან საუბარსაც დათანხმდა. პრემიერ-მინისრტთან მისულმა გიგა ბოკერიამ განმარტა, რომ **„ნოღაიდელის უფლებაა, როცა უნდა მაშინ შეხვდეს ოპონენტებს.“**

პრემიერ-მინისტრის კაბინეტის წინ კობა დავითაშვილმა, ზვიად ძიძიგურმა, ბეჟან გუნავამ, ბიძინა გუჯაბიძემ და კოკა გუნცაძემ შიმშილობა ნოღაიდელთან შეხვედრის მოთხოვნით დაიწყეს. შენობის გარეთ შეკრებილ აქციის წევრებს კი დღეს პარლამეტის შენობასთან შეხვედრამდე დაემშვიდობნენ.

დამშვიდობებიდან რამდენიმე წუთში მოშიმშილეებისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრა შედგა. დავითაშვილის წინადადებაზე, მოვაჭრეებისთვის დაწესებულიყო ფიქსირებული გადასახადი, პრემიერ მინისტრმა შემდეგი პასუხი გასცა: **”თუ არ აღირიცხა გაყიდული პროდუქცია, ვეღარ განვახორციელებთ სოციალურ რეფორმას, ვეღარ დავაგებთ გზებს, აღარ დარიგდება გაზრდილი პენსიები, აღარ გვეყოლება ძლიერი ჯარი, ვეღარ ვიქნებით უზრუნველყოფილნი 24 საათიანი ელექტრომომარაგებით. გადაწყვეტილება მიღებულია, პოზიციას არ შევიცვლით. ამ ქვეყანაში კი არეულობის მოწყობას ვერავინ შეძლებს.”**

**“როგორც ჩანს, აქციაზე ხალხის რაოდენობა გეცოტავათ, ვეცდებით, მეტი ხალხი შევაგროვოთ,”** – დაპირდა ნოღაიდელს დავითაშვილი.

**“პრემიერ-მინისტრმა ხალხის რაოდენობა დაიწუნა, რითიც მოსახლეობას გამოსვლისკენ მოუწოდა. როგორც ჩანს, თავად ნოღაიდელი გახლავთ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსურნე,”** – აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა, რომლისგანაც ისიც შევიტყვეთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა ხუთმა პარლამენტარმა შიმშილობა შეწყვიტა.

# აჭარაში დევნილებს კომპენსაციებს უპირობოდ მისცემენ

ემზარ დიასამიძე

აჭარაში დევნილები დროებითი საცხოვრებლის დატოვების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გაზრდას მოითხოვენ. ამასთან, მათი ძირითადი მოთხოვნაა, კომპენსაცია გაიცეს არა რეგისტრირებული ოჯახების, არამედ მათ მიერ დაკავებული ფართის მიხედვით. ამ პრობლემის შესასწავლად, აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამთავრობო კომისია შეიქმნა. მასში 3 სახელმწიფო მოხელე, არასამთავრობო ორგანიზაციის 3 წევრი და დევნილთა 3 წარმომადგენელი შევიდა. კომისიამ რამდენიმე სხდომა ჩაატარა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი, გაურკვეველი მიზეზის გამო, იურიდიულად არ დარეგისტრირდა და მუშაობა შეწყვიტა. ინვესტორები მხოლოდ 2004 წელს რეგისტრირებულ 1921 ოჯახზე კომპენსაციის გასაცემად ემზადებიან.

აჭარაში ყაზახური ინვესტიციების ქართული პარტნიორი, „სილქ როუდ გრუპი“ აჭარის მინისტრთა საბჭოს შენობაში დევნილებისათვის კომპენსაციის გასაცემად ოფისს ხსნის. აქ ამჟამად დევნილებისათვის საინფორმაციო მომსახურება მიმდინარეობს: „ჩვენ აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადმოცემული გვაქვს სიები, რომელშიც სულ 1921 ოჯახია. აქ მოდიან ადამიანები, რათა თავიანთი თავი სიებში გადაამოწმონ. შემდეგ ოჯახის წევრები ერთ რომელიმე წევრზე აფორმებენ მინდობილობებს, რომ შემდეგში მან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე აწარმოოს მოლაპარაკება და ბანკიდან თანხა აიღოს,“ - აცხადებს „სილქ როუდ გრუპის“ წარმომადგენელი, სააქციო საზოგადოება „აჭარის კურორტების“, ქობულეთის შტაბის ხელმძღვანელი ლევან ურუშაძე. მისი თქმით, თანხების გაცემა უახლოეს მომავალში დაიწყება. დღესდღეობით კი ოფისში უკვე მივიდა ათასზე მეტი ადამიანი. ურუშაძის განცხადებით, 200 მეტ ოჯახს უკვე მინდობილობა აქვს გაკეთებული.

დევნილები, ბინების გაძვირებასთან დაკავშირებით, საკომპენსაციო თანხების გაზრდას მოითხოვენ. ინვესტორების პოზიცია კი ასეთია. ისინი კომპენსაციისათვის 14 მილიონ დოლარს გაიღებენ. ამაზე მეტის გადახდა მათი ბიზნესისათვის წამგებიანი იქნება. ამიტომ დამატებითი თანხების გადახდის მოთხოვნისას ხელს ხელისუფლებისაკენ იშვერენ.

აჭარის ხელისუფლება კი, ეტყობა, თბილისური გამოცდილების გადმოტანას გეგმავს. დევნილებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემის შემსწავლელმა კომისიამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მუშაობა შეწყვიტა. კომისიის თავმჯდომარის, აჭარის ჯანდაცვის მინისტრის, მამუკა ნაკაშიძის განცხადებით, მათ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მიერ შექმნილი კომისია ჩაენაცვლა. „აქ ჩამოსულნი არიან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები. მათთან ერთად კომისიაში არიან ლტოლვილები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ამ საკითხს სწავლობენ.“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანთა უფლებების რეგიონალური ცენტრის“ ხელმძღვანელი პაატა ჯალაღონია აჭარის სამთავრობო კომისიის წევრი დევნილთა კვოტიდან იყო. მან არ იცის მიზეზი, თუ რატომ შეაჩერა კომისიამ მუშაობა. მისი განცხადებით, კომისიის მუშაობა საჭირო კი არა, აუცილებელი იყო. "ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აქვს ლტოლვილების საოჯახო კოდები, რომელთა რაოდენობა შესყიდულ ობიექტებში 1921-ია. ამ კოდების რაოდენობა 1993 წლიდან იცვლებოდა. კოდების რეალური რიცხვი გაცილებით მეტი, 2400-მდეა. ეს გასულ წელს, ზაფხულში ჩატარებული ვერიფიკაციის მონაცემებია. მაშინ დევნილების თავიდან აღწერა მოხდა. მაშინ მოხდა ხალხის მოტყუება, რადგან დაპირდნენ, რომ ვისთვისაც საჭირო იყო, ცალკე საოჯახო კოდს მიანიჭებდნენ. როგორც აღმოჩნდა, ვერიფიკაციის მონაცემები არაკანონიერი აღმოჩნდა, რადგან იგი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული არ იყო. ჩემი ინფორმაციით, ინვესტორების წარმომადგენელთა შტაბი საოჯახო კოდების 2004 წლის მონაცემებით ხელმძღვანელობს.“

ინვესტიციების დაწყებამდე დევნილები საოჯახო კოდებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, რადგან იგი მხოლოდ შემწეობის აღებისას სჭირდებოდათ. ჯალაღონიას ინფორმაციით, დევნილებში ხშირად არის შემთხვევები, რომ ერთ 6-სულიან ოჯახს 3 საოჯახო კოდი აქვს. ისინი ამ შემთხვევაში 21 ათას დოლარს მიიღებენ და მათთვის შეთავაზებული თანხა მისაღებია. მაგრამ უფრო ხშირად პირიქითაც არის, როცა რამდენიმე ტიპურ ოჯახს ერთი საოჯახო კოდი აქვს მინიჭებული და მათ ერთად 7 ათასი დოლარი უნდა აიღონ. „ჩემს მეზობლად ცხოვრობს ოჯახი, ორი ძმა და ერთი და. ძმები დაქორწინებულები არიან, ერთს ორი შვილი ჰყავს, მეორეს - ერთი. დაც გათხოვილია და შვილი მასაც ჰყავს. ისინი 3 ოთახში ცხოვრობენ, მაგრამ ერთი საოჯახო კოდი აქვთ მინიჭებული. არის მოთხოვნა, რომ კომპენსაციის გაცემა ოთახების პრინციპით მოხდეს. აქაც არის ასეთი შემთხვევები, რომ ორ-სამ-სულიან ოჯახებს, რაღაც გარემოებით, რამდენიმე ოთახი უჭირავთ. დევნილებს აჭარაში სულ 2550 ოთახი აქვთ დაკავებული. სწორედ ამ მომენტების გასათვალისწინებლად იქმნებოდა კომისია, რომელსაც ეს საკითხი უნდა შეესწავლა და ანაზღაურების პრინციპიც გადაეწყვიტა,“ - აცხადებს ჯალაღონია. რაც შეეხება აფხაზეთის მთავრობის მიერ შექმნილ კომისიას, ჯალაღონიას თქმით, ისინი დადიან და მონაცემთა ბაზას ქმნიან, თუმცა საეჭვოა მათი წინადადებები ინვესტორთა ჯგუფმა გაიზიაროს, რადგან მათთან შეთანხმება და ხელშეკრულება ამ საკითხზე აჭარის მთავრობას აქვს.

# განსხვავებული აზრის სიმცირე ქართულ მედიაში

## საქართველოში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტიც აღნიშნავს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თავის ყოველწლიურ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ 2005 წლის განმავლობაში საქართველოს ბეჭდვითი მედია გაცილებით უფრო კრიტიკული იყო ადგილობრივი მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმართ, ვიდრე ტელევიზია. სახელმწიფო დეპარტამენტის ასეთი შინაარსის მოხსენება 8 მარტს გამოქვეყნდა და მსოფლიოში ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის მდგომარეობას აფასებს.

მოხსენების იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს შეეხება და 22 გვერდს მოიცავს, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მიუთითებს, რომ გასული წლის განმავლობაში ადგილობრივი ტელევიზიები ცდილობდნენ, ყოფილიყვნენ შედარებით უფრო ლოიალურები საქართველოს მთავრობის მიმართ ბევრ მნიშვნელოვან საკითხში, მაგალითად, როგორიცაა სასამართლო რეფორმები. ამით ტელეკომპანიების მფლობელები საკუთარ ბიზნესინტერესებს უფრთხილდებოდნენ.

სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ანალიტიკოსები სახელმწიფოს მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებენ, როდესაც ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს აშუქებს.

ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად ბეჭდვით მედიასა და ტელევიზიებში განსხვავებული აზრი შემცირდა და ხშირ შემთხვევებში საკითხების იმგვარად გაშუქება ხდება, როგორც მთავრობას სურს, - ნათქვამია მოხსენებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მოყვანილია თავისუფალი სიტყვის შეზღუდვისა და ჟურნალისტებზე ზეწოლის ყველა ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2005 წელს საქართველოში. საუბარია ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევაზე სიტყვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით.

2005 წლის ივნისის თვეში 79-მა ადგილობრივმა არასამთავრობო და მასმედიის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას და საერთაშორისო საზოგადოებას წერილით მიმართა, სადაც სახელმწიფოს მხრიდან მასმედიაზე, განსაკუთრებით - ტელევიზიებზე, ზეწოლის შესახებ საუბრობდა.

*ჯი ეიჩ ენი*

### მოკლედ

#### ირანი თურქეთს ურანის გამდიდრებას სთავაზობს

ირანი თურქეთს სთავაზობს, ურანი მის ტერიტორიაზე გაამდიდროს ან გადაამუშაოს ატომური საწვავი. ისრაელის მონაცემებით, თეირანი მეზობელი ქვეყნის პარლამენტარებსა და ჟურნალისტებს ეპატიჟება ატომური ობიექტების დასათვალიერებლად.

**„ჩვენ გაცილებით მეტად ვენდობით თურქეთს. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ეს ინიციატივები პროექტის რანგში. როგორც ცნობილია, კამათი შეეხება ურანის გამდიდრებას, ატომური საწვავის გადამუშავებას, მაგრამ არა მხოლოდ ამას. ჩვენთვის იქნება უკეთესი, თუკი ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა თურქეთის ტერიტორიაზე იქნება რეალიზებული,“** - აცხადებს ირანის ელჩი თურქეთში ფირუზა დევლეტაბადი. მისივე თქმით, პრობლემას აქვს ტექნიკური და სამართლებრივი მხარეები, რომლებზე მსჯელობაც ექსპერტებს შეეძლებათ.

**„ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, ამ პროცესში ჩავრთოთ თურქეთი. მივცეთ მას უფლებამოსილება, ჩვენს ატომურ პროექტებში მონაწილეობა მიიღოს,“** - აღნიშნა დიპლომატმა.

აღნიშნულ განცხადებას თურქეთის ხელისუფლების რეაქცია ჯერჯერობით არ მოჰყოლია. თუმცა მანამდე ოფიციალურმა ანკარამ არაერთგზის გამოხატა შეშფოთება ირანის ბირთვული პროგრამების თაობაზე და მეზობელ ქვეყანას მოუწოდა, დაეცვა საერთაშორისო ნორმები. **ჯი ეიჩ ენი**

#### ძლიერი აფეთქება თურქეთში

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ ვანში დღეს ძლიერი აფეთქება მოხდა. ადგილობრივი პოლიციის მონაცემებით, სამი ადამიანი დაიღუპა და 14 დაშავდა. აფეთქება ქალაქის ცენტრალურ უბანში, სავაჭრო ცენტრის მახლობლად, ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობიდან 500 მეტრში მოხდა. სპეცსამსახურების ვარაუდით, ბომბი ავტობუსში იყო დამონტაჟებული ან მის გვერდით კამიკაძე-ტერორისტმა თავი აიფეთქა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტობუსი ნაწილებად დაიშალა, ბევრ სახლში კი მინები ჩაიმსხვრა.

დაჭრილები ადგილობრივ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. შემთხვევის ადგილი პოლიციის ალყაშია მოქცეული. მიმდინარეობს გამოძიება. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია. თუმცა, მასმედია მომხდარს ქურთისტანის მუშათა პარტიის ბოევიკთა გააქტიურებას უკავშირებს. **ინტერპრესნიუსი**

#### ჩინეთი აშშ-ს ბრალდებებს უარყოფს

აშშ-ს მიერ ჩინეთისთვის წაყენებულ ბრალდებებს პეკინმა კონტრშეტევით უპასუხა და გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა დარღვევებზეა საუბარი.

მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოთხშაბათს გავრცელებულ ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩინეთში იმ მოქალაქეთა შევიწროებისა და დაპატიმრებების შემთხვევები გახშირდა, რომელთა ქმედებებს ხელისუფლება „მუქარად“ განიხილავს.

პასუხად, ჩინეთმა აშშ-ს მოუწოდა, საკუთარ შიდა პრობლემებს მიაქციოს ყურადღება, მათ შორის ისეთს, როგორიცაა დანაშაულების მაღალი დონე და პატიმართა დიდი რაოდენობა.

ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს მიერ დღეს გამოქვეყნებულ მოხსენებაში პეკინი აშშ-ს „სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის დარღვევაში, მათი მოქალაქეების უფლებების და თავისუფლების ხელყოფაში“ ადანაშაულებს.

**„აშშ-ს მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებში ჩატარებული საომარი კამპანიებისას, ხშირად ხდება მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი მკვლელობები,“** - ნათქვამია დოკუმენტში.

ჩინეთი ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევის შესახებ აშშ-ს ბრალდებებს გამუდმებით უარყოფს. თუმცა ამჯერად პეკინის რეაქციას, ჩინეთის ლიდერის ჰუ ძინატოს აშშ-ში აპრილში დაგეგმილი ვიზიტის გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

**„აშშ საკუთარ თავს ყოველთვის დემოკრატიის ნიმუშად წარმოადგენდა და დანარჩენ მსოფლიოს საკუთარ გამოცდილებას ახვევდა თავს. სინამდვილეში, ამერიკული დემოკრატია მდიდრებისთვისაა გათვალისწინებული,“** - აღნიშნულია ჩინეთის მთავრობის მოხსენებაში.

თავის მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ჩინეთის მთავრობასა და საიდუმლო სამსახურებს „სერიოზულ დარღვევებში“ ადანაშაულებს. აშშ-ს მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩინეთში ბევრი საპროტესტო აქცია მკაცრად ჩაახშეს. გარდა ამისა, ამ ქვეყნის მთავრობამ ინტერნეტში ცენზურა გაამკაცრა. ჩინეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამგვარი მოხსენებების გამოქვეყნებით აშშ „ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის სფეროში საერთაშორისო დავის ესკალაციის პროვოცირებას ახდენს“. **24 საათი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# შუამავალი ამერიკა

## დასავლეთი ცდილობს, რუსეთის პოზიცია საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციას დაამთხვიოს

**„კმაყოფილი ვართ იმ ნაბიჯებით, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოსაგვარებლად დგამს. საქართველოს ავტორიტეტი დასავლეთში დღითიდღე იზრდება. სასურველია, საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით დასავლეთის პოზიცია რუსეთმაც გაიზიაროს,“** - განაცხადა საქართველოში ვიზიტით მყოფმა, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გია ვოლსკისთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

ბრაიზა დარწმუნებულია, რომ რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში დადებითი როლის შესრულება შეუძლია და თუ დასავლეთმა რუსეთთან მიმართებაში ამ მიმართულებით თავისი საქმიანობა გააძლიერა, **„რუსეთი კონფლიქტების მოგვარებაში პოზიტიურ როლს შეასრულებს“.**



ერთი დღით ადრე კი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების საკითხებში დენიელ ფრიდმა აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ქვეკომიტეტში გამოსვლისას განაცხადა: ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ვარაუდობს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებისთვის რუსეთს მეტის გაკეთება შეეძლო. მისი თქმით, აშშ დაძაბულად მუშაობს საქართველოს სეპარატისტული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის.

**„როგორც სამხრეთ ოსეთში, ისე აფხაზეთში რუსეთის ფედერაციას შეეძლო, მეტი გაეკეთებინა ამ კონფლიქტების მოგვარებაში დახმარების კუთხით,“** - მიიჩნევს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე.

**„იმედი გვაქვს, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს წინადადებებით ისარგებლებს და იმ გადაწყვეტილების მიმართულებით იმუშავებს, რომელიც პატივს სცემს როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ისე სამხრეთ ოსეთის ხალხის ინტერესებსაც,“** - დასძინა ფრიდმა.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი მიიჩნევს, რომ აშშ და დასავლეთი ცდილობს, რუსეთის პოზიცია საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციას დაამთხვიოს. ამის შესახებ მან გუშინ მეთიუ ბრაიზასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

ვოლსკის შეფასებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს, აშშ-სა და წამყვანი ევროპული ქვეყნების პოზიცია ერთმანეთს „აბსოლუტურად ემთხვევა“, მაგრამ ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანას წარმოადგენს ამ საკითხებში რუსეთის მხარდაჭერა.

**„მუშაობა მიდის იმაზე, რომ რუსეთმაც გაიზიაროს ის მიდგომები, რომლებიც კონფლიქტებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლების მსგავსად, დასავლეთისა და აშშ-ს ჩამოუყალიბდა,“** - განაცხადა ვოლსკიმ.

იგი იმედოვნებს, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეები გაიზიარებენ ქართული მხარის მოთხოვნას როკის გვირაბის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გაკონტროლების შესახებ.

**„რუსეთი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ როკის გვირაბის გასაკონტროლებლად და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარების ეფექტური საერთაშორისო გარანტიების შექმნა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული აქცია კი არა, კავკასიაში სტაბილურობის ხელშემწყობი ფაქტორია,“** - დასძინა გია ვოლსკიმ.

იგი იმედს გამოთქვამს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით რუსეთსა და საქართველოს შორის სადავო საკითხების გარკვევაში აშშ **„შუამავლის როლს შეასრულებს.“**

*24 საათი*

# ნატო-ს მისიის პირველი შეფასებები

პირველი გვერდიდან

როგორც სახელმწიფო მინისტრმა განმარტა, მისიის განსაკუთრებული მოწონება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმამ და მისი შესრულების მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა დაიმსახურა.

თავდაცვის სამინისტროში გამართული სამდღიანი ინტენსიური შეხვედრების შემდეგ, ნატო-ს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს უფროსმა ფრენკ ბოლანდმა მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელებული რეფორმებით კმაყოფილია. **"საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კონსტრუქციული განხილვები გვქონდა. ჩვენ მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ვართ. ვიმედოვნებთ, რომ მოკავშირეები 13 აპრილს, ბრიუსელში IPAP-ის შესრულებასთან დაკავშირებით დაგეგმილ განხილვაზე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ,“** - აღნიშნა ბოლანდმა.

ქართული მხარე ნატო-ს მისიის ვიზიტის შემდეგ იმედოვნებს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დადებით დასკვნას დაწერს. **"მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნატო-ს დელეგაციის მხრიდან დადებითი განწყობა და შეფასებები დოკუმენტის ფონიც დადებითი იქნება,“** - აღნიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა კუდავამ.

## მოკლედ

### ცხინვალი საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ფაქტობრივი მასალის შესაგროვებლად ფართომასშტაბიან სამუშაოებს ატარებს. „საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 1989-1992, ასევე 2004 წლებში ჩადენილი დანაშაულების შესახებ“ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანის მიზნით, - ამის შესახებ დე ფაქტო რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა. მისი ინფორმაციით, 1989 წლის 23 ნოემბრიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოკლულია 1000-ზე მეტი, დაჭრილია 5000 ადამიანი. ამასთან, გადამწვარია 117 ოსური სოფელი, მათი მოსახლეობა კი - 30 000-მდე ადამიანი - იძულებული იყო, ჩრდილოეთ ოსეთში გახიზნულიყო. ჩოჩიევის თქმით, საერთო ეკონომიკურმა ზარალმა, სამმხრივი კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგებით, 34 მილიარდ რუბლს გადააჭარბა, 1992 წლის კურსის შესაბამისად. ოსური მხარის განცხადებით, რუსეთ-საქართველოს 1993 წლის 13 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, საქართველომ თავის თავზე აიღო ვალდებულება ამ თანხის ანაზღაურების შესახებ, თუმცა არ შეასრულა. „ოსების დევნა ეროვნული ნიშნით განხორციელდა არა მარტო სამხრეთ ოსეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ადამიანებისგან მთლიანად დაცარიელდა ათობით ოსური სოფელი საქართველოს სხვადასხვა რაიონში. დანგრეულია სკოლები, კულტურის სახლები, ბაღები და ინფრასტრუქტურის ობიექტები. ასობით ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა,“ - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. **პრაიმ-ნიუსი**

### საქართველო-პოლონეთის პოლიტიკური კონსულტაციები

საქართველოსა და პოლონეთს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს ხუთშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების მორიგ რაუნდზე. როგორც პრაიმ-ნიუსს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, კონსულტაციებში საქართველოს მხრიდან - ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის, პოლონეთის მხრიდან კი - აღმოსავლეთის პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორები იღებდნენ მონაწილეობას. შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები და მათი დარეგულირების მექანიზმები, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, საქართველო-თურქეთის, საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-სომხეთის ორმხრივი ურთიერთობები. კონსულტაციის მიზანს, ასევე, პოლონეთის სენატის თავმჯდომარის საქართველოში მომავალი ვიზიტის დეტალების განხილვა წარმოადგენდა. ვიზიტი დაგეგმილია 2006 წლის 4-5 აპრილს. სენატის თავმჯდომარესთან ერთად საქართველოს ეწვევიან პოლონეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და თავდაცვის მინისტრები, პომორსკის მხარის ხელმძღვანელობა, მასმედიის წარმომადგენლები, განიხილება პოლონელი ბიზნესმენების ვიზიტის საკითხიც. **პრაიმ-ნიუსი**

### „მართვადი დემოკრატიიდან“ - “თითქმის ავტოკრატიამდე“

რუსეთის მოქალაქეებს ხელისუფლების მუშაობაზე ზეგავლენის სულ უფრო ნაკლები მექანიზმები აქვთ. ამის შესახებ ნათქვამია 2005 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მოხსენებაში. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკურ უწყებას მიაჩნია, რომ შარშან კრემლში ხელისუფლების კონცენტრაციის პროცესი გრძელდებოდა. ამის მაგალითად მოხსენებაში მოყვანილია რუსეთის რეგიონებში გუბერნატორების პირდაპირი არჩევნების გაუქმება, რამაც ამომრჩეველთა წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობა შეამცირა. ვაშინგტონის აზრით, ამას ხელი შეუწყო არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცენზურამ და არასამთავრობო ორგანიზაციების შევიწროებამ. „რუსეთის ფედერაციაში სუსტი მრავალპარტიული სისტემა და ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება არსებობს. პროპრეზიდენტული პარტია „ერთიანი რუსეთი“ სახელმწიფო სათათბიროში ადგილების ორ მესამედს აკონტროლებს,“ - აღნიშნულია მოხსენებაში. გარდა ამისა, მოხსენების ავტორები მიიჩნევენ, რომ 2005 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ კი, ჩეჩნეთში ვითარება გაუარესდა. „პრომოსკოვური ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირებები დროგამოშვებით რუსი სამხედროებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ და, ჯერჯერობით, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ცდილობს, ბოლო მოუღოს იქ ადამიანის უფლების დარღვევებს,“ - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში. ამავდროულად, დოკუმენტში აღნიშნულია ის გარკვეული პროგრესი, რომელიც რუსეთში ადამიანის უფლებათა სფეროში შეინიშნება - ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო სისტემის მეტი დამოუკიდებლობა, რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობის წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლა.

იმ ქვეყნებს შორის, სადაც ყველაზე მეტად ირღვევა ადამიანის უფლებები, დასახელებულია ბირმა, ჩრდილოეთ კორეა, ირანი, კუბა, ჩინეთი და ზიმბაბვე. მოხსენებაში მკაცრად არის გაკრიტიკებული აშშ-ს მეგობარი რამდენიმე სახელმწიფოც: საუდის არაბეთი - პატიმართა ცემისა და რელიგიური თავისუფლების არარსებობისთვის; ეგვიპტე - არჩევნების გაყალბებისა და პატიმართა წამებისთვის; არაბთა გაერთიანებული საემიროები - გაროზგვისთვის, რითაც ამ ქვეყანაში ნარკოტიკების გამოყენება და ცოლ-ქმრული ღალატი ისჯება.მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ მოხსენება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა პირველად 1977 წელს გამოაქვეყნა. **ნიუს.რუ**

# მნიშვნელოვანი მოთამაშე

პირველი გვერდიდან

საერთაშორისო ფორუმში, რომელიც სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის, აშშ-ს, გერმანიის მარშალის ფონდისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეგიდით იმართება, ევროკავშირის, აშშ-ს, საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, თურქეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების წამყვანი ექსპერტები მონაწილეობენ.

ფორუმზე გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისი საერთაშორისო შეხვედრების ცენტრი ხდება, ამაზე კი ბოლო პერიოდში ქვეყანაში საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება და საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტებისა და მაღალი რანგის თანამდებობის პირების ვიზიტებიც მიუთითებს.

**“მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოს გარშემო იდეოლოგიური ომია წამოწყებული. გავლენიანი, ფულიანი, მნიშვნელოვანი ძალები დაკავებულნი არიან საქართველოს „გაშავებით“. მათ სურთ წარმოაჩინონ ქვეყანა, როგორც საშიში, არასაიმედო, არაევროპული და არაცივილიზებული. თუმცა ის, რომ დღეს საქართველოში ასეთი დონის ექსპერტები არიან ჩამოსულნი, სულ სხვას მიუთითებს,“** - განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ საქართველო დიდი მომავლის მქონე ქვეყანაა.

**“საქართველო გამოდის იზოლაციიდან. ეს ხდება ჩვენს გასახარად და სხვების გულის გასახეთქად,“** - აღნიშნა პრეზიდენტმა “დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობაზე” საუბრისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ “ბორჯომის დეკლარაციად” წოდებული, უკრაინისა და საქართველოს ეს ინიციატივა სულ უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება. **“ბორჯომის დეკლარაცია თანდათან ისხამს ხორცს,“** - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, შვედეთმა უკვე განაცხადა, რომ ბალტია-შავი ზღვის რეგიონების ქვეყნებით წარმოდგენილ თანამეგობრობას მიუერთდება. **„ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის, რეგიონის საკეთილდღეოდ, თავისუფლების და დემოკრატიის საკეთილდღეოდ,“** - დასძინა პრეზიდენტმა.

**„დემოკრატიული არჩევანის თანამნეგობრობა“** გასული წლის დეკემბერში კიევში დაფუძნდა. დეკლარაციას ამის შესახებ ფორუმის მონაწილეებმა - საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, რუმინეთის, მაკედონიის, სლოვენიისა და უნგრეთის პრეზიდენტებმა მოაწერეს ხელი.

*24 საათი*

# ირანი მოლაპარაკებების შანსს აღარ ტოვებს

ხათუნა გაბიევი

აშშ-ში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის შემდეგ, სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ირანთან დაკავშირებით კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, ამჯერად უკვე სენატის კომიტეტის სხდომაზე. მოლაპარაკებების გზების ძიებისა და ვითარების განმუხტვის მცდელობის მიუხედავად, ირანი კვლავ საფრთხის წყაროდ ანუ „ნომერ პირველ“ საკითხად განიხილება აშშ-ში.

**„ჩვენ ირანის მუქარა ვერ შეგვაჩერებს, რადგან ირანი ბირთვული იარაღის შექმნას თუ შეძლებს, გაცილებით საშიში იქნება ჩვენი ინტერესებისთვის. სწორედ ამიტომ აუცილებელია, საერთაშორისო საზოგადოებამ მის შესაჩერებლად ყველაფერი გააკეთოს,“** - თქვა კონდოლიზა რაისმა.

ექსპერტთა თქმით, ასეთი განცხადებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ღიად აღიარა ირანის პოტენციალი - მიიტანოს იერიში აშშ-ზე.

კონდოლიზა რაისის გამოსვლას ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების განცხადება უსწრებდა წინ. ოფიციალური თეირანის თქმით, ბირთვული პროგრამის ირგვლივ წარმოქმნილი კრიზისის დასაძლევად ირანი დასავლეთთან რაიმე კომპრომისზე არ წავა.

ამ უკანასკნელმა კიდევ უფრო გაუმყარა დასავლეთს ეჭვი, რომ ირანი ურანის გამდიდრებას მშვიდობიანი მიზნებით არ ცდილობს. რაისის სიტყვებით, ირანს მხოლოდ ბირთვული იარაღის შექმნა სურს და სხვა ყველაფერი მხოლოდ ცუდად შენიღბული განზრახვაა.

**„ირანის ისლამური რესპუბლიკა ახლო აღმოსავლეთში ტერორიზმის უმთავრესი სპონსორია და ამით დიდ წინააღმდეგობას უქმნის ამ რეგიონში დემოკრატიის განვითარებას,“** - დაამატა რაისმა. რაისის სიტყვებით, ირანის პოლიტიკა ხელს უშლის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის განვითარებას და „180 გრადუსით განსხვავდება“ იმისაგან, როგორი ფორმითაც აშშ-ს სურს, რომ განვითარდეს ეს რეგიონი. ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერის აიათოლა ხამენეის განცხადებით, ირანი ახლა გაცილებით ძლიერია, ვიდრე იყო წარსულში, და ყველანაირ ზეწოლასა და შეთქმულებას გაუძლებს. არანაკლებ მკაცრი და მუქარით აღსავსე იყო პრეზიდენტ აჰმადინეჯადის განცხადება.

**„ირანის წინააღმდეგ მოქმედების შემთხვევაში დასავლურ სამყაროს სერიოზული ზიანი მიადგება, თავად კი ვერაფერს დაგვაკლებენ, რადგან მათ ჩვენთან თანამშრომლობა სჭირდებათ,“** - თქვა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

აჰმადინეჯადიმ თავი შეიკავა თანამშრომლობის საჭიროების დეტალების განხილვისაგან, მაგრამ არსი უკვე თავისთავად გასაგები იყო - ირანი ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობექსპორტიორია მსოფლიოში. ირანის ლიდერთა განცხადებები კონდოლიზა რაისის გამოსვლას კი უსწრებდა წინ, მაგრამ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გადაწყვეტილების მეორე დღეს გაკეთდა. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ გადაწყვიტა, ირანის „ბირთვული დოსიე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაუგზავნოს განსახილველად.

ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სესიის დამთავრების შემდეგ რუსეთმა მოუწოდა ირანს, სერიოზულად აღექვა ყველა ის შედეგი, რაც მათ მოქმედებას შეიძლება მოყოლოდა.

„ჩვენ მოვუწოდებთ ირანს, სერიოზულად გადახედონ საბჭოს დადგენილებას და უზრუნველყონ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან თანამშრომლობა,“ - ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# სეპარატიზმის დამარცხების მარტივი ფორმულა

## საერთაშორისო მხარდაჭერა, მეგობარი-მეზობელი და კანონიერი სავაჭრო ურთიერთობები

*ევროკომისიის, უკრაინისა და მოლდოვას მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, უკრაინა-მოლდოვას საზღვრის მონიტორინგს ევროკავშირის საზღვრის კონტროლის ხელშეწყობის მისია განახორციელებს. ფაქტობრივად, დნესტრისპირეთის სეპარატისტული ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა – მას ორი წამგებიანი ნაბიჯიდან ერთ-ერთის არჩევა მოუწევს. დღეს, არსებული მდგომარეობით, ეკონომიკური “თვითბლოკადა” ტირასპოლის რეჟიმს ფინანსურ კრახს უქადის, თუმცა, კიშინიოვთან დათმობაზე წასვლა - პოლიტიკური “თვითმკვლელობის” ტოლფასი იქნებოდა. ევროკავშირისა და მეგობარი/მეზობელი ქვეყნების აქტიური ჩარევის წყალობით, დსთ-ს სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე “გაყინული” კონფლიქტი, შესაძლოა, მარტივად მოგვარდეს.*

სოფო ბუკია

უკვე ერთი კვირაა, რაც უკრაინისა და მოლდოვის საზღვრის დნესტრისპირეთის რეგიონის მონაკვეთზე ახალი საბაჟო წესები მოქმედებს – უკრაინის საბაჟო გამშვებ პუნქტს დნესტრისპირეთიდან მომავალი მხოლოდ ის ტვირთები გაივლის, რომელსაც მოლდოვას საბაჟო უწყების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაცია აღმოაჩნდება.

უკრაინის ხელისუფლების აღნიშნულ ინიციატივას მხარი დაუჭირა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა.

**“ახალი საბაჟო წესების შემოღება საზღვრის დაცვის კუთხით გატარებული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს დნესტრისპირეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. აშშ მოუწოდებს დნესტრისპირეთს, თავი შეიკავოს რაიმე საპასუხო ქმედებებისგან, რაც კანონიერ სავაჭრო ურთიერთობებს ხელს შეუშლის,”** – აღნიშნულია მოლდოვას ხელისუფლების მიერ გავრცელებულ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ **“აშშ მიესალმება დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებას მოლდოვას სუვერენიტეტის ფარგლებში.”**

გუშინვე სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო დადებითად აფასებს უკრაინა-მოლდოვას საზღვარზე დნესტრისპირეთიდან მომავალი ტვირთებისთვის ახალი საბაჟო წესების შემოღებას.

**“საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმება ევროკავშირის, უკრაინისა და მოლდოვის ერთობლივ ძალისხმევას და დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო საზღვრის ეფექტური კონტროლი და მონიტორინგი დნესტრისპირეთისა და მსგავსი კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს,**” – აღნიშნულია განცხადებაში.

2005 წლის 7 ოქტომბრის ევროკომისიის, უკრაინისა და მოლდოვას მიერ ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, უკრაინა-მოლდოვას საზღვრის მონიტორინგს ევროკავშირის საზღვრის კონტროლის ხელშეწყობის მისია განახორციელებს.

დნესტრისპირეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განცხადებათა სიმრავლით, ცხადია, რუსეთი ლიდერობს. რუსეთის ხელისუფლება მზადაა, საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინოს დნესტრისპირეთს. ამის შესახებ გუშინ რუსეთის საგარეო უწყების საგანგებო დავალებათა ელჩმა ვალერი კენიაკინმა განაცხადა. კენიაკინი იმედოვნებს, რომ **“უკრაინა, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგება და დნესტრისპირეთს ეკონომიკური ბლოკადისგან გაათავისუფლებს.”**

დნესტრისპირეთის “ეკონომიკურ ბლოკირებას” კატეგორიულად უარყოფს უკრაინის ხელისუფლება. საბაჟოზე მოქმედი ახალი წესების გამო გუშინ უკრაინა-მოლდოვას საზღვარზე 2623 სატვირთო ვაგონის მოძრაობა შეფერხდა. ტვირთების მოძრაობის შეფერხებაში უკრაინული მხარე პასუხისმგებლობას დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობას აკისრებს.

უკრაინის საგარეო უწყებამ გუშინ გაავრცელა განცხადება, სადაც ტირასპოლის ხელისუფლება ხელოვნურად “თვითბლოკადის” შექმნაში დაადანაშაულა. **“უკრაინისა და დნესტრისპირეთის რეგიონის საზღვართან ტვირთების გადაზიდვის კუთხით შექმნილი კრიზისული სიტუაციის მიზეზი დნესტრისპირეთის მხარის მიერ გატარებული არაადეკვატური ქმედებებია,”** - აცხადებს უკრაინის საგარეო უწყება.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, უკრაინის მხარემ უკრაინა-მოლდოვას საზღვარზე ტვირთების გადაადგილებისთვის საჭირო ყველა პროცედურა უზრუნველყო, თუმცა უკრაინული მხარის ყველა ძალისხმევა დნესტრისპირეთის ხელისუფლების არაადეკვატური ქმედებების გამო უშედეგო აღმოჩნდა.

საკმაოდ საინტერესო ინიციატივები გაჟღერდება დღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც, სადაც რუსი დეპუტატები დნესტრისპირეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით იმსჯელებენ.

დუმის დღევანდელ სხდომაზე ფრაქცია “როდინა” დნესტრისპირეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის წინადადებით გამოვა.

**“დნესტრისპირეთის პრობლემა რუსეთის რეპუტაციის პრობლემაა. დადგა დრო, როდესაც რუსეთმა სერიოზული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. დნესტრისპირეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. ამ რესპუბლიკამ არაერთხელ გამოთქვა რუსეთის ფედერაციაში შესვლის სურვილი. მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ფარგლებში იქნება ეს რესპუბლიკა დაცული. თუკი რუსეთი არ გაითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარ ინტერესებს და კვლავ სხვისი წესებით ითამაშებს; თუ რუსეთი ისევ თვალს დახუჭავს იმ ფაქტზე, რომ უკვე 14 წელია არსებობს რესპუბლიკა, რომელსაც რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა სურს – ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთი შეწყვეტს არსებობას, როგორც ქვეყანა, რომელსაც ვინმეს ინტერესების დაცვა შეუძლია - იქნება ეს პატარა დნესტრისპირეთი, პატარა სამხრეთ ოსეთი თუ პატარა აფხაზეთი,”** – აღნიშნა როგოზინმა.

გთავაზობთ იაპონურ მეორად ავტომობილებს
Japanese Used Cars
a.n.nagoya, inc.
2-20-111 Asaokacho, Chikusaku, Nagoya 464-0811 Japan
ტელ: 81-52-782-2807 ფაქსი/Fax: 81-52-782-2907
Mobile: 81-90-1831-9726
e-mail: a.n.nagoya48@tea.ocn.ne.jp
URL: http://www.annagoya.com



# ინციდენტი საბერიოში

## ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დაძაბვის საბაბი

*სოფელ საბერიოში მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმა და მათი მკვლელობა, შესაძლოა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ხელახალი დაძაბვის საბაბი გახდეს. აფხაზურმა მხარემ, ყოველგვარი გამოძიებისა თუ მოკვლევის გარეშე, აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით მკვეთრი შეფასება უკვე გააკეთა და საქართველოს ხელისუფლება „ექსტრემიზმის წაქეზებაში" დაადანაშაულა.*
*გალის რაიონის ქართული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი ლომია კი გალის რაიონში მომხდარ ინციდენტს ორი ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფების შეჯახებით ხსნის.*

თამარ კაციტაძე

გალის რაიონის სოფელ საბერიოში (უბანი ღვაშგვერდი) უცნობი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ აფხაზებს, რომლებიც სოფელში ნათესავთან, სავარაუდოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესაძენად მიდიოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმაში დაახლოებით ათამდე შეიარაღებული პირი მონაწილეობდა, რომლებმაც ცეცხლი ავტომატებიდან გახსნეს. „უაზისა" და „გაზის" მარკის ავტომანქანებზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად ოთხი მოქალაქე დაიღუპა - ვიტალი ვოზბა, ლიოსიკ გუმბა, ზურაბ ცაგურია და შვიდი წლის ანიკო ბაძაღუა. ერთი მოქალაქე მძიმედ არის დაჭრილი.

სოფელ საბერიოში მომხდარი ტრაგედია, სწორედ იმ ტერიტორიაზე მოხდა, რომელსაც რუსი სამშვიდობოები აკონტროლებენ, თუმცა ამ ფაქტზე ისინი დღემდე არანაირ კომენტარს არ აკეთებენ.

ქართული მხარის ვერსიით, დამნაშავეებმა ავტობუსის მიმართულებით შეცდომით გახსნეს ცეცხლი, ვინაიდან მას გუდაუთის ნომრები ჰქონდა.

**„რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, ვინაიდან ვერ ვაკონტროლებთ აფხაზეთის ტერიტორიას, მაგრამ ვიცით, რომ თავდასხმა 5-6-მა ადამიანმა განახორციელა. ავტობუსის დაცხრილვამდე ნახევარი საათით ადრე ამავე რაიონში, სოფელ საბერიოსთან, ორმხრივი სროლა იყო გუდაუთისა და გალის კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც აფხაზეთიდან საქართველოში კონტრაბანდული სიგარეტების გადმოზიდვით არიან დაკავებულები,"** - განაცხადა გიორგი ლომიამ და იქვე დასძინა, რომ ოთხმხრივი გამოძიების შედეგად ყველაფერი უნდა გაირკვეს.

აფხაზურმა მხარემ ინციდენტი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანა და საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწყობილ ტერაქტად გამოაცხადა. მათი მტკიცებით, შეიარაღებული დაჯგუფება საქართველოს მხარეს გადავიდა და მიიმალა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა, მომხდარის გამო, საქართველოს ხელისუფლება ექსტრემიზმის ხელშეწყობაში დაადანაშაულა, მას სრული პასუხისმგებლობა დააკისრა და ოფიციალურ თბილისს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობაში დასდო ბრალი.

ქართულ მხარეს პასუხისმგებლობას აკისრებს სოხუმის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბაც.

**„ქართული მხარე გალის რაიონში დანაშაულების ორგანიზებით ცდილობს, დაარწმუნოს საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ აფხაზური ხელისუფლება ამ რაიონში ვითარებას ვერ აკონტროლებს, რის გამოც, აუცილებელია გაერო-ს ეგიდით სამოქალაქო პოლიციისა და გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნა,** - განაცხადა შამბამ და დასძინა, - **გალის რაიონში მიმდინარე პროცესებში საქართველოს მხრიდან უხეშ ჩარევასა და იქ, როგორც სამოქალაქო პოლიციის, ასევე, გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნას არ დავუშვებთ".**

სოფელ საბერიოში მომხდარ ინციდენტს და მასთან დაკავშირებით აფხაზური მხარის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებებს გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც, რომელმაც აღნიშნული ინციდენტი გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარების გაუარესებასა და კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების უმოქმედობას დაუკავშირა.

როგორც საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. მილიცია და რეგიონში განლაგებული რუსული სამშვიდობო ძალები რეგიონში კრიმინალურ მდგომარეობას ვერ აკონტროლებენ, რასაც, ხშირ შემთხვევაში, უდანაშაულო, მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება.

**„გალის რაიონში აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის დაუყოვნებლივ გახსნა და საერთაშორისო პოლიციის შემოყვანა, რათა მომავალში მსგავსი ფაქტები არ განმეორდეს",** - ნათქვამია განცხადებაში.

ვიდრე აფხაზი სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლების მისამართით პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო თანამეგობრობისაგან დახმარებას ელის, დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების 201-ე საგუშაგოზე ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართა. ქართულ-აფხაზური მხარეები, რუსი სამშვიდობოებისა და გაერო-ს მისიის წარმომადგენლები ერთადერთ საკითხს, სოფელ საბერიოში მომხდარ ინციდენტს განიხილავდნენ.

მართალია, ოთხმხრივი სხდომები, ტრადიციულად, გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში უნდა გამართულიყო, მაგრამ სამშვიდობო ძალების სარდლის სერგეი ჩაბანის ინიციატივით, სხდომა საგუშაგოზე ჩატარდა. მას თავად სერგეი ჩაბანი ხელმძღვანელობდა.

**„წინასწარი მონაცემებით, თორმეტკაციანი ბანდიტური დაჯგუფება, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობაზე შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა, საქართველოს მიმართულებით მიიმალა. მოწმეთა ჩვენებით, ისინი ავტომატებით, ტყვიამფრქვევებითა და ყუმბარმტყორცნებით იყვნენ შეიარაღებულები",** - განაცხადა სხდომაზე სერგეი ჩაბანმა.

თავის მხრივ, ქართული მხარის წარმომადგენელმა ვალერი ჯაფარიძემ ინციდენტის ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის მიერ დეტალური გამოძიება მოითხოვა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მომხდართან დაკავშირებით დასკვნების გაკეთება.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფი, სადაც საქართველოს მხრიდან სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელობა იქნება ჩართული, მუშაობას დღესვე დაიწყებს.

**„ვინაიდან ტრაგედიის ადგილს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, ამიტომ წინასწარი დასკვნების გაკეთებისგან თავს შევიკავებ. ერთის თქმა კი ახლავე შეიძლება - ანალოგიურ შემთხვევებში აფხაზები ყოველთვის ჩვენკენ იშვერენ ხელს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი საწინააღმდეგოდ ტრიალდება. ბოლო პერიოდში ჩვენს შორის ურთიერთობა, ასე თუ ისე, დარეგულირდა. როგორც ჩანს, ეს ვიღაცას ხელს არ აძლევს და პროვოკაციაც მათი მოწყობილია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ვალერი ჯაფარიძემ.

# მკვლელობის მოტივი

პირველი გვერდიდან

საქმე ის გახლავთ, რომ ძარცვის მოტივით მკვლელობა გამოძიებამ იმთავითვე უარყო, იქიდან გამომდინარე, რომ ლომინაძის ბინიდან არ იყო დაკარგული არაფერი და ერთადერთი, რაც საეჭვო დახვდათ მისი ოჯახის წევრებს, ეს იყო ის ცარიელი უჯრა, რომელშიც, ჩვეულებრივ, "AES თელასის" ფინანსური დირექტორი საბუთებს ინახავდა. სწორედ აქედან წამოვიდა სამსახურებრივი საქმიანობის გამო მკვლელობის ვერსია – 2,5 მილიონიანი მაქინაცია, რომელში გარკვევაც ნიკა ლომინაძემ თავის თავზე აიღო. ამ მაქინაციაში თელასის კომერციული ექსპერტის – გიორგი გვიჩიანის გვარიც ფიგურირებდა. თუმცა, ის ერთადერთი ნამდვილად არ გახლდათ, ვისი უნებლიე თუ განგებ ჩარევით, რუსეთის ჯარების შტაბის მიერ გადახდილი ფული "დაიკარგა". ამ ადამიანების ნაწილი უკვე კარგა ხანია საქართველოში აღარ იმყოფება, ნაწილი კი სხვადასხვა ბრალდებით ციხეშია გამოკეტილი. ესენი არიან რუსეთის ჯარების მხრიდან – შტაბის საბინაო ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი სერგეი პისკუნოვი და რუსეთის ჯარების სარდლის თანაშემწე მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დარგში ალექსანდრე შიროკი; „AES თელასის" წარმომადგენელი – ამჟამად ნიკა ლომინაძის მკვლელობის დაკვეთაში ბრალდებული, მაშინ კი იმავე თელასის კომერციული დირექტორის მოადგილე გიორგი გვიჩიანი; "თბილსრესიდან" – ამჟამად დიდი ოდენობით თანხების მიტაცებაში ბრალდებული, მაშინ "თბილსრესის" ფინანსური დირექტორი ნოდარ ბულბულაშვილი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ამჟამად პატიმრობაში მყოფი, კერძო კომპანიის „იბერია პრაიმ კაპიტალის" დირექტორი მირიან ცხვარაძე და „ორლანდო ჰოლდინგ კორპორეიშენის" დირექტორი გელა ჭონიაშვილი.

ამ საქმეში ყველა მათგანი 2001 წლის ივნისში, სხვადასხვა მოტივაციით ჩაერთო.

**"ყოველ წელიწადს შემოდგომა-ზამთრის მზადებისთვის გვესაჭიროება გარკვეული თანხები,** - განაცხადა თავის დროზე ჩვენთან საუბრისას "თბილსრესის" აწ უკვე ყოფილმა ფინანსურმა დირექტორმა ნოდარ ბულბულაშვილმა, - **ახლაც ასე მოხდა და დებიტორს მივმართეთ. ჩვენი დებიტორი ადრე იყო საქენერგო, შემდეგში გახდა ენერგობაზარი. ამჯერადაც წერილით მივმართეთ ბაზარს, რომ 5 მილიონი ლარი გამოეყო. მაშინ ბაზარს არ აღმოაჩნდა შესაბამისი თანხები და წერილით მიმართა "AES თელასს", როგორც თავის დებიტორს, რომ ჩვენთან ხუთ მილიონზე ანგარიშსწორება მათ ეწარმოებინათ. იქიდან კი წერილი მოგვივიდა, რომ არ ჰქონდათ მოთხოვნილი თანხის გადახდის საშუალება და თუ ჩვენ თანახმა ვიყავით, შეეძლოთ მივემაგრებინეთ რუსეთის ჯარებზე, რომელიც ნაცვლად ხუთი მილიონისა, ჯერჯერობით ორმილიონ ნახევარზე აწარმოებდა ანგარიშსწორებას".**

"თბილსრესი" ამ წინადადებას დათანხმდა.

საიდან ჩნდება ვალების ჯაჭვში რუსეთის ჯარები, ამის თაობაზე საგულისხმო ინფორმაციას გიორგი გვიჩიანის ჩვენება იძლევა, რომელიც გამოძიებამ მას 2003 წელს, მოწმის სახით დაკითხვისას ჩამოართვა:



*მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ნიკა ლომინაძემ ფინანსური მაქინაციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოიპოვა.*

**"2000-2001 წლების გაზაფხულის პერიოდში „AES თელასს" ჰქონდა დაგროვილი საბითუმო ბაზრის ვალები... 2001 წლის მარტში მაიკლ სქოულმა და რობერტ მილმა(თელასის მაშინდელი ფინანსური დირექტორი) დამავალეს განმეხორციელებინა ბაზართან ჩათვლები, რათა თავიდან აგვეცილებინა ნაღდი ფულის შეკვეთა სათაო ოფისისთვის. ამ პერიოდისთვის "AES თელასში" იყო ბაზრის მოთხოვნა ჩათვლების განხორციელებაზე, რაზეც უარი გვქონდა ნათქვამი. დავალების შემდეგ კი დავიწყე შემოთავაზებული წინადადებების განხილვა და ავტომატურად ჩათვლა. მსხვილი ჩათვლები განხორციელდა ლტოლვილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯებზე, თბილწყალკანალის დავალიანებაზე, საავიაციო ქარხანაზე და ასევე სხვა თანხებზე. დეტალურად არ მახსოვს. აღნიშნული ჩათვლების განხორციელების შემდეგ ბაზართან "თელასს" დარჩა 2,5 მილიონი ვალი".**

გვიჩიანის ჩვენების გაგრძელება შესაძლოა ფელეტონის მსგავს ნაამბობად მოგეჩვენოთ იმის თაობაზე, თუ როგორ აწარმოებენ ქართულ და არა მარტო ქართულ საქმიან წრეებში ფინანსურ გარიგებებს, როგორ შეიძლება რამდენიმე მილიონის ბედი დამოკიდებული იყოს ქუჩაში შემთხვევით ნანახი კაცის წინადადებაზე, უცნობი პიროვნების დანაპირებსა თუ ყურმოკრულ შეთანხმებებზე: **"რიცხვი არ მახსოვს, შემთხვევით შევხვდი ლუკა ნინოშვილს - საბითუმო ბაზრის დირექტორის მოადგილეს, რომელმაც მითხრა, რომ ჩათვლა განგვეხორციელებინა რუსეთის ჯარებთან ამიერკავკასიაში 2,5 მილიონ ლარზე,** - უამბო გიორგი გვიჩიანმა გამოძიებას, - **მე ვუთხარი, რომ ხელმძღვანელობას შევუთანხმდებოდი. შემოთავაზებულ წინადადებაზე შევუთანხმდი მაიკლ სქოულს, მივიღე მისი თანხმობა, რის შესახებაც ვაცნობე ლუკა ნინოშვილს. 2001 წლის 21 ივნისს საბითუმო ბაზრიდან მივიღე ნინოშვილის ხელმოწერით წერილი, რომლითაც საბითუმო ბაზარი გვთხოვდა, ჩვენი დავალიანებიდან გადაგვერიცხა 5 მილიონი ლარი "თბილსრესისთვის", წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში. რადგანაც წერილში არ იყო დაფიქსირებული რუსეთის ჯარები, მე დავუკავშირდი ლუკას, რათა გამერკვია აღნიშნული საკითხი. მან მიპასუხა, რომ, რადგან ჩვენ ვიყავით აღნიშნული ჩათვლით დაინტერესებულნი, ჩვენგან წასულიყო ინიციატივა... ამ დროს "თელასს" არ ჰქონდა მოლაპარაკება და შეთანხმება არც "თბილსრესთან", არც რუსეთის ჯარებთან. მე ვიცოდი მხოლოდ ლუკასგან, რომ აღნიშნული ორგანიზაციები თანახმა იყვნენ ჩათვლის განხორციელებაზე. ამ დროისთვის რუსეთის ჯარებს დაქვემდებარებულ ობიექტებს ჰქონდა "თელასის" დავალიანება – დაახლოებით 950 ათასი ლარი".**

ამ ჩვენების ნამდვილობას ვერავინ დაადასტურებს, რადგანაც ერთადერთი მოწმე – ლუკა ნინოშვილი გარდაცვლილი გახლავთ.

თუ გვიჩიანს დავუჯერებთ, ჩათვლა ისე განხორციელდა, რომ „AES თელასს" არანაირი კონტაქტი არ ჰქონია არც "თბილსრესთან", არც რუსეთის ჯარების წარმომადგენლებთან. ამასთან, ამ ჩათვლით არათუ მხოლოდ რუსეთის ჯარების ვალი დაიფარა, არამედ მათ კრედიტის სახით ბარათზე დაუჯდათ 1 550 581 ლარი. ეს მოხდა რუსეთის ჯარებიდან მიღებული 2001 წლის 27 ივნისით დათარიღებული წერილის საფუძველზე. გიორგი გვიჩიანს რუსეთის ჯარებისგან თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები არ მოუთხოვია. შესაბამისად, "თელასმა" გადაწყვიტა, რომ აღნიშნულის საფუძველზე ბაზრისთვის თანხა აღარ უნდა გადაეხადა, საკუთარი ვალები კი დაბალანსებულად ჩათვალა. უფრო სწორად, ჩათვალა არა "თელასმა", არამედ კომერციული დირექტორის მოადგილემ გიორგი გვიჩიანმა, სწორედ მის მიერ ბუღალტერიისთვის 27 ივნისს მიწერილი წერილის საფუძველზე განხორციელდა ჩათვლა. ამ ჩათვლის პარალელურად, "თბილსრესსაც" უნდა შეემცირებინა ენერგობაზრისთვის იგივე თანხის დავალიანება. მაგრამ... თბილსრესმა ჩათვლა არ გაატარა. გიორგი გვიჩიანის თქმით, მან ამის თაობაზე 2002 წლის თებერვალში ნიკა ლომინაძისგან შეიტყო.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# სანდრო გირგვლიანის საქმის საეჭვო დეტალები

*დღეს „კინოს სახლში" სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია და სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები სპეციალურ შეხვედრას გამართავენ. სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრთა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მოთხოვნები არ იცვლება - მიმდინარე გამოძიებით უკმაყოფილონი, მკვლელობის შემკვეთთა დასახელება-დაკავებას კვლავ კატეგორიულად ითხოვენ.*

გუშინ კი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულების ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის ფაქტი გააპროტესტეს. არასამთავრობო სექტორის ინფორმაციით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად განზრახ მკვლელობაში ბრალდებული გია ალანია, ამავე დეპარტამენტის ყოფილი ოფიცრები, ასევე განზარახ მკვლელობაში ბრალდებულები ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ლაჭავა და მიხეილ ბიბილური ისე გადაიყვანეს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, მათთვის წინასწარ ევროსტანდარტების დონეზე გარემონტებულ საკანში, რომ სამედიცინო შემოწმებაც არ გაუვლიათ.

ბრალდებულთა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანა სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრებმაც გააპროტესტეს. მოკლულის მამის გურამ გირგვლიანის განცხადებით, ოჯახს დასცინიან და მკვლელებს დასასვენებლად უშვებენ.

**„თუ ავადმყოფები იყვნენ, მაშინ ჩემ შვილს როგორ კლავდნენ?! კურორტზეა ეს ხალხი! მიიღონ ზომები, რაც შეიძლება მალე",** - განაცხადა სანდრო გირგვლიანის დედამ ირინა ენუქიძემ.

მოგვიანებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულების ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია უარყო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას განცხადებით, გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ლაჭავა და მიხეილ ბიბილური N7 საპყრობილის ბოლო სართულზე მდებარე ერთ-ერთ საკანში გადაიყვანეს და ჩვეულებრივ პირობებში იხდიან სასჯელს.

ბაჩო ახალაიას განმარტებით, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების N7 საპყრობილის პირველ სართულზე შეყვანა იმიტომ არ მოხდა, რომ იქ ავტორიტეტული კრიმინალები იმყოფებიან და ყოფილი სამართალდამცველების ე.წ. კანონიერ ქურდებთან ერთად საკანში ყოფნა არ შეიძლება. ახალაიას თქმით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულები საპყრობილის "ჩვეულებრივ, დაკეტილ საკანში" სხედან, სადაც არც ევრორემონტია ჩატარებული და მათთვის არც სხვა სახის "განსაკუთრებული პირობებია" შექმნილი. **"მათთვის განსაკუთრებული პირობები არავის შეუქმნია. მათ კანონიერ ქურდებთან ერთად ვერ ჩავსვამდით, რადგან კანონით გათვალისწინებულია, რომ პოლიციის ყოფილი თანამშრომლები სხვა დანარჩენი კრიმინალებისგან ცალკე, იზოლირებულ საკანში უნდა ისხდნენ,"** – განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

მეტი დამაჯერებლობისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ №7 საპყრობილეში რამდენიმე ტელეარხის ოპერატორი შეიყვანა და ის საკანი გადააღებინა, სადაც, მისი თქმით, ბრალდებულები იმყოფებიან.

ოპოზიციის ინფორმაციით კი, სასჯელაღრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბაჩო ახალაიამ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან N7 საპყრობილეში მას შემდეგ გადაიყვანა, რაც მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია ბრალდებულების ე.წ. რესბალნიცაზე ყოფნის შესახებ.

გუშინვე პროკურატურამ მორიგი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა - დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ დათა ახალაიას თანაშემწე ოლეგ მელნიკოვი ვერ ამოიცნო. ამოცნობისას მან განაცხადა, რომ მელნიკოვი ეცნობა, მისი სახის ნაკვთები, ოქროყანის სასაფლაოზე მოგვიანებით ასულ მამაკაცის გარეგნობას ახსენებს, მაგრამ დაზუსტებით არ შეუძლია იმის თქმა, რომ ერთ-ერთი გამტაცებელი მელნიკოვი იყო.

გუშინვე ერთ-ერთმა მოწმემ, სანდრო გირგვლიანის მეგობარმა თათია მაისურაძემ, ოლეგ მელნიკოვი 28 იანვრის ინციდენტთან საეჭვოდ კიდევ ერთხელ დააკავშირა. მანვე კატეგორიულად უარყო ბრალდებულ ალანიას ჩვენება "შარდენ-ბართან" მომხდარი ინციდენტის შესახებ და გამოთქვა ვარაუდი, რომ ლევან ბუხაიძეს ჩვენება შეაცვლევინეს – საუბარია მელნიკოვის ამოცნობის პროცედურაზე, რომელზეც დაზარალებულმა დათა ახალაიას თანაშემწეში გამტაცებელი ვერ ამოიცნო.

*24 საათი*

## საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის განცხადება ტენდერში ცვლილების შესახებ

2006 წლის 9 მარტის გაზეთ 24 საათში N50 (1202) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ სპეცტანსაცმელის, ფეხსაცმელის და ლოგინის თეთრეულის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

ლოტი N1-ის მე-9 პოზიცია - **საწვიმარი ლაბადა - 300 ცალი** გადატანილი იქნეს ლოტი N2-ში მე-13 პოზიციად, შესაბამისად, ლოტი N1 განისაზღვროს 14 პოზიციით, ხოლო ლოტი N2 - 13 პოზიციით.

**სატენდერო კომისია**

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 მარტიდან იწყებს განაცხადების მიღებას მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტების, სახურავებისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებლად.

დაძინანსების მოთხოვნით თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე www.tbilisi-corps.ge

მისამართი, ალმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული. ტელ. 95 20 34.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.......................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.......................................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "[illegible]" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "[illegible]";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# იყო თუ არა „ფინანსური ამნისტია" ამნისტია?

პირველი გვერდიდან

სააქციო საზოგადოება "ქართული შაქრის" ყოფილ გენერალურ დირექტორს და ყოფილი ბლოკ "მრეწველები-ახლების" სიის მე-13 ნომრად „განთესილ" გოგიჩაშვილს გულახდილობა ძვირად დაუჯდა - საპარლამენტო იმუნიტეტი და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი 134 ათასი ლარი. მაშინ „მემარჯვენე ოპოზიციის - მრეწველები, ახლების" წარმომადგენლები №13 დეპუტატობის კანდიდატისთვის იმუნიტეტის მოხსნას და ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის იძულებით გადახდას, როდესაც „ფინანსური ამნისტიის" სახით გარკვეული შემთხვევები არსებობდა, რეკეტს უწოდებდნენ.

**„კანონის მიღების მიზანი ბიზნესმენების მიერ ცუდი საგადასახადო კანონმდებლობის გამო დამალული ფულის საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყენებაა. ბიზნესმენებს ფულის გამოჩენის არ უნდა ეშინოდეთ. საქართველოს მთავრობა კანონის ამოქმედების შემდეგ არ დასჯის არც ერთ ბიზნესმენს, ვინაიდან ის ადამიანი, ვინც ქმნის ქვეყნის დოვლათს, დამნაშავე არ არის. დანაშაულებრივი და კორუმპირებული იყო სისტემა, რომელშიც მათ წლების განმავლობაში უხდებოდათ საქმიანობა. ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ ბიზნესმენებს ბევრად გაუმჯობესებულ პირობებში მოუწევთ საქმიანობა,"** - ამას პრეზიდენტი სააკაშვილი ჯერ კიდევ „ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონის" მიღებამდე აცხადებდა. მაშინვე, სანამ პრეზიდენტი **„ბიზნესმენებს, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკის მომავალი უნდა ააშენონ",** მოსალოდნელი ამნისტიის შესახებ ამცნობდა, მან დამსწრე, და არა მხოლოდ ამ საზოგადოების, გასაგონად საკმაოდ საინტერესო გაფრთხილებები გააკეთა: **„თქვენ გაკვირდებათ პროკურატურა, თქვენ გაკვირდებათ შსს, თქვენ გაკვირდებათ სააკაშვილი..."**

პარლამენტის მიერ კანონის დამტკიცების პროცესში დეპუტატებმა კანონპროექტთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი შენიშვნა გამოთქვეს. მაგალითად, იყო მოსაზრება, რომ იმ პირებმა, რომლებიც წლების განმავლობაში იპარავდნენ, ქონების დეკლარირების შემთხვევაში უნდა გადაიხადონ არა 1 პროცენტი, არამედ 5 და მეტი. ხოლო იმ ჩინოვნიკებისათვის, რომლებმაც **„პრაქტიკულად, წაიღეს სახელმწიფოსგან ფული",** გადასახადი თანხა 10 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო. ამასთან, აცხადებდნენ იმასაც, რომ აღნიშნული 1 პროცენტი არ უნდა შეხებოდა იმ პირებს, რომლებიც წლების წინ ქონებრივი გადასახადის დეკლარაციას პატიოსნად ავსებდნენ და ამ დეკლარაციაში მთელ მათ ქონებას ასახავდნენ. იყო პრინციპულად საპირისპირო პოზიციაც: ფინანსური ამნისტიით ყველა თანაბარ პირობებში უნდა იყოს და ამნისტია უნდა შეეხოს მათაც, ვისზეც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული.

თუმცა, ავად თუ კარგად, ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონი მიიღეს. მაინც, რამდენმა ბიზნესმენმა „გაბედა" ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება? იყო თუ არა რეალური ამნისტია „ფინანსური ამნისტია"?

დღეს ასეთი სურათი გვაქვს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დამალული გადასახადების დეკლარირება სულ ასმა მეწარმემ მოახდინა. ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხა 2,5 მილიონ ლარს შეადგენს. ეს არის და ეს....

თუმცა, სანამ ამჟამინდელი ოპოზიცია „ფინანსური ამნისტიის შესახებ" კანონის „გაცოცხლებას" შეეცდება, ჩვენ გავიხსენოთ:

### რას გულისხმობს ფინანსური ამნისტია?

ქართული ამნისტიის თანახმად, უნდა შეწყდეს ყველა საგამოძიებო ორგანოში იმ პირთა მიმართ აღძრული საქმეების წარმოება და სასამართლოებში განუხილველი საქმეები, რომლებმაც 2004 წლის 1 იანვრამდე ე.წ. „სამეწარმეო დანაშაული" ჩაიდინეს (მაგალითად - დამალეს მიღებული შემოსავალი, არ გადაიხადეს გადასახადები). ამას გარდა, სასჯელისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლის დროისათვის მსჯავრდებულნი არიან ასეთი დანაშაულების ჩადენისათვის (თუმცა ისინი არ თავისუფლდებიან უკვე გადახდილი თუ გადასახდელი ჯარიმებისგან).

ამ კანონის ძალაში შესვლისთანავე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები. არ განხორციელდეს მათთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება.

დაბოლოს - ყოველგვარი გადასახდელების გადახდის გარეშე ლეგალიზებულად ითვლება 1992 წლამდე რეგისტრირებული უძრავი ქონება; ასევე - ქონება, რომელიც 1992-1994 წლებში იყო შეძენილი ან აშენებული და რომლის ღირებულება 300 ათას ლარს არ აღემატება ; ასევე - ქართულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ქონება.

### ვის არ ეხება ამნისტია?

ამნისტია არ ეხება მათ, ვინც ქონება დააგროვა ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობით, ტერორიზმით, ტრეფიკინგით და სხვა ტრანსნაციონალური დანაშაულების გზით. ამნისტია ასევე არ ეხება მეწარმეებს, რომელთაც უკვე აქვთ „აღმოჩენილი" ან დარიცხული და აღრიცხული, მაგრამ გადაუხდელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები. არ შეეხება არც იმ საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებს, რომელთა ირგვლივაც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის მიმდინარეობს ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალწარმოება.

ამნისტია არ ვრცელდება არც უსაქონლო ოპერაციების ან ფიქტიური გარიგებების შედეგად ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

ამნისტია არ ეხება, ყოველ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კუთხით, მაღალი თანამდებობის პირებს.

ასევე, ამნისტია არ ეხება იმათ, ვინც მართავდა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო იმ საწარმოში, რომლის საწესდებო კაპიტალი აღემატება ან აღემატებოდა 1 მილიონ ლარს და რომელშიც სახელმწიფო ფლობს ან ფლობდა წილის (აქციათა) 50 პროცენტს ან 50 პროცენტზე მეტს. თუმცა, როგორც თანამდებობის პირებს, ისე სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ პირებს შეუძლიათ იმ შემოსავლების ლეგალიზება, რომელიც კერძო ბიზნესში ყოფნისას, ანუ თანამდებობაზე ან სახელმწიფო საწარმოში მოსვლამდე დააგროვეს. მათ ასევე გარკვეული პირობით შეუძლიათ „გაექცნენ" „უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების" ჩამორთმევას, თუკი ისინი ამ „უკანონო შემოსავალის" ტოლფას თანხას 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში დააბანდებენ, ან ქართული ბანკების ანგარიშებზე განათავსებენ. აქვე ერთი დეტალი - ამ შეღავათის შემთხვევაშიც, თანამდებობის პირები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდებიან.

### ვის ეხება ამნისტია?

თუ ვიხელმძღვანელებთ ცნობილი პრინციპით - რაც აკრძალული არ არის, ის დაშვებულია, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამნისტია ეხება ყველა იმ პირს, რომელიც ზემოთ მოხსენებულ აკრძალვის ჯგუფებში არ არის მოხვედრილი.

არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებების ლეგალიზაცია ეხება როგორც გადასახადის გადამხდელ პირებს (როგორც იურიდიულს, ისე - ფიზიკურს), ასევე - საგადასახადო აგენტებს. აღმოუჩენელი ანუ არადეკლარირებული გადასახადების ლეგალიზებისთვის სპეციალური დეკლარაციების შევსება არ არის აუცილებელი, რადგან 2004 წლამდე ფინანსური საქმიანობის შემოწმება იკრძალება და, შესაბამისად, რაც აღმოჩენელი არ არის, იმის გადახდას ვერავინ მოგთხოვთ. თუმცა ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს მოუწევს გადაიხადოს დარიცხული და აღრიცხული, მაგრამ გადაუხდელი გადასახადები.

რაც შეეხება დაფარული ქონების ლეგალიზაციას, ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ამ კანონის ძალაში შესვლიდან 2005 წლის ბოლომდე მოახდენენ საკუთარი ქონების, მათ შორის, დაფარული ქონების დეკლარირებას საგადასახადო ორგანოებში.

დეკლარირებული ფინანსური სახსრები ლეგალიზებულად ჩაითვლებოდა, თუ 2005 წლის განმავლობაში პირი დამალული ქონების დეკლარირებას მოახდენდა საგადასახადო სამსახურში და დეკლარირებული ფინანსური სახსრების და უძრავი ქონების ღირებულების 1 პროცენტს გადაიხდიდა ბიუჯეტში. გარდა ამისა, დეკლარირებული ქონება ლეგალიზებულად ჩაითვლებოდა, თუ ამ თანხას პირი ქართული ბანკის ანგარიშებზე განათავსებდა. ამ შემთხვევაში 1 პროცენტის გადახდა საჭირო აღარ იყო.

და ბოლოს, ვინ ეტყვის ბიზნესმენებს, როგორ მოიქცნენ?

# მორიგი საცხოვრებელი კომპლექსი „აქსისისგან"

*პირველი ქართული დეველოპერული კომპანია „აქსისი" ინოვაციური პროექტების სერიას აგრძელებს. გასული წლის ივნისში კომპანიამ უკვე განაცხადა საქართველოში უპრეცედენტო პროექტის - სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის "აქსის პალასის" შენების დაწყების შესახებ. გუშინ კომპანიის ხელმძღვანელებმა მორიგი პალასის მშენებლობის დაწყება აღნიშნეს. ამით კომპანია ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის ერთჯერადი პროექტი და „აქსისის" მეშვეობით დედაქალაქს პალასების ქსელი შეემატება.*



პირველი ქართული დეველოპერული კომპანია „აქსისი" ბახტრიონისა და საბურთალოს ქუჩების გადაკვეთაზე სასტუმროს ტიპის მეორე საცხოვრებელი კომპლექსის "აქსის პალასის" აშენებას იწყებს. პროექტი 250 ოჯახზეა გათვლილი და მას სასტუმროსთვის დამახასიათებელი ყველა მომსახურება ექნება: სავაჭრო ცენტრი, საოფისე და სხვა სახის კომერციული ფართობი, სპორტული მოედნები, ბავშვთა მოედნები და სპეციალური ოთახები, საცურაო აუზი და ფიტნეს-კლუბი. შენობას ეყოლება მომსახურე პერსონალი, რომელიც მის დაცვაზე, სისუფთავესა და მცხოვრებთა კომფორტზე იზრუნებს.

კერძოდ, კომპლექსი სრულიად იქნება აღჭურვილი სიგნალიზაციით, ვიდეო-კამერებით, რომლის მეშვეობითაც მთელი პერიმეტრის გაკონტროლება მოხდება. დაცვის სამსახურის და კამერების მიერ ავტოსადგომებიც გაკონტროლდება. ერთი სიტყვით, კონსიერჟი ყველა იმ მომსახურებას უზრუნველყოფს, რომელიც სასტუმროსთვისაა დამახასიათებელი.

თუმცა ამ პროექტს, წინამორბედისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი შესასვლელები, ზამთრის ბაღი, მოპირკეთებული ტერიტორია, ახალი ქუჩა, კომუტატორი და 24-საათიანი დაცვა ექნება.

**„ჩვენ კლიენტებთან ურთიერთობას ბინებში მათი შესვლის შემდეგ არ ვწყვეტთ. პირიქით, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ მაშინ დაიწყება..."** - განაცხადა გუშინ „აქსისის" გენერალურმა დირექტორმა გოგა კაპანაძემ. მისივე თქმით, ახალი პალასის მიმართ უკვე დიდი ინტერესია. აღსანიშნავია, რომ დღეიდან ჯერ კიდევ აუშენებელი "აქსის პალასი" გაყიდვაშია.

სხვათა შორის, ახალ პალასში 1 კვ.მ. 550 დოლარი ეღირება. სტაბილური შემოსავლის მქონე პირებს პალასში ბინის განვადებით შეძენის შესაძლებლობაც ექნებათ - 5-7 წლის განმავლობაში 18-პროცენტიანი განაკვეთის გადახდით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გუშინ „აქსისში" აღნიშნეს, პირველი ქართული ცათამბჯენის „აქსის თაუერის" მშენებლობა იყო. როგორც „აქსისში" აცხადებენ, **„უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საქართველოში პირველ ცათამბჯენს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის არქიტექტურული განვითარებისთვის."** პირველი ქართული 30-სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 110 მეტრზე მეტს მიაღწევს, ორი იდენტური ფორმის და სიმაღლის, თანაბარი მოცულობის კოშკისაგან იქნება შემდგარი, რომელთაც ერთმანეთთან ხიდი დააკავშირებს. უნიკალურია, აგრეთვე, ამ ორი მოცულობის კონტრასტულობა, ანუ მოსაპირკეთებელ მასალათა სხვადასხვაობა - ერთი კოშკი მინით, ხოლო მეორე ქვით დაიფარება. მინის კოშკს - ბიზნესცენტრის, ქვისას კი სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის დატვირთვა ექნება.

გუშინდელ შეხვედრაზე „აქსისის" ხელმძღვანელებმა კომპანიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროექტზე - "აქსის ქარდზე" ისაუბრეს. ეს არის პლასტიკური, უვადო ფასდაკლების ბარათი, რომელიც მხოლოდ "აქსისის" კლიენტებს გადაეცემა საჩუქრად. ბარათი ფასდაკლებასა და სხვადასხვა პროფილის 20-მდე კომპანიაში განსაკუთრებულ პირობებს უზრუნველყოფს.

*24საათი*

# დღგ-თი დაიბეგრება მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდება

დამატებითი ღირებულების გადასახადით მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდება დაიბეგრება. გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა მთავრობის მიერ მომზადებული პროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე. როგორც კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ განაცხადა, ელექტროენერგიის წარმოების ხელშეწყობის მიზნით გადაწყდა, რომ ელექტროენერგეტიკის სექტორი დამატებითი ღირებულების გადასახადით ძველ საგადასახადო კოდექსში არსებული რეჟიმით დაიბეგროს.

კერძოდ, დღგ-სგან გათავისუფლდება ენერგოობიექტების რეაბილიტაციის მიზნით, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტებით შეძენილი საქონელი და განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაო. ამასთან, დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლდება თბოელექტროსადგურებისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირი.

ამ რეჟიმით ელექტროენერგეტიკის სექტორი 2005 წლის პირველ იანვრამდე იბეგრებოდა, თუმცა, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების დროს მთავრობამ სექტორის დღგ-თი დაბეგვრის გადაწყვეტილება მიიღო.

*ინტერპრესნიუსი*






საინფორმაციო ცენტრმა ნატოს შესახებ გამოსცა თავისი პირველი კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი (ქართულ ენაზე), რომელშიც შესულია:

**ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულება**. ეს არის ნატოს დამფუძნებელი დოკუმენტი, რომელშიც გაცხადებულია ალიანსის მიზნები და პრინციპები.

**საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა**. 2004-2006. ეს არის ე.წ. აიპაპის ადაპტირებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მკითხველი გაიგებს რა რეფორმებს ატარებს საქართველო ნატოში ინტეგრაციის გზაზე.

**კითხვები და პასუხები ნატოს საქმიანობის შესახებ**. აქ მოცემულია შეკითხვები, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეს მკითხველს, და იქვე მათზე პასუხებია გაცემული.

ბიულეტენი უფასოა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მისი მიღება ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრში, მისამართზე აღმაშენებლის 61. უახლოეს მომავალში ბიულეტენები დარიგდება სხვადასხვა ორგანიზაციებში.

# ინდივიდუალური გამრიცხველიანება ქუთაისსა და ფოთში

ქუთაისსა და ფოთში ინდივიდუალური მრიცხველების ჩართვისთვის უცნობი პირები მოსახლეობისგან გარკვეულ თანხას ითხოვენ. როგორც „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" განაცხადეს, თანხების უკანონოდ გამოძალვის ნებისმიერ შემთხვევას ენერგოკომპანიისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უმკაცრესი რეაგირება მოჰყვება.

**„ენერგოკომპანია აღრიცხვის კვანძების მოწესრიგების სამუშაოებს მომხმარებლებისთვის სრულიად უსასყიდლოდ აწარმოებს. ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა საქართველოს მთავრობის თანადგომით მიმდინარეობს,"** - განაცხადეს კომპანიაში.

ქუთაისში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა 2005 წლის სექტემბერში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტი აღრიცხვისთვის, პირველ ეტაპზე, ქალაქში 36 000 თანამედროვე ელექტრომრიცხველი დამონტაჟდა. სამუშაოებს კონტრაქტორი ფირმები აწარმოებენ. ამჟამად მიმდინარეობს აღრიცხვის კვანძების ჩართვის პროცესი, რაც უახლოეს მომავალში დასრულდება.

წელსვე იგეგმება გამრიცხველიანების მთლიანად დასრულება ქუთაისში და ქალაქში არსებული ელექტროქსელის მასშტაბური რეაბილიტაცია, რაც შეამცირებს დანაკარგებს და მნიშვნელოვნად გაზრდის გადახდის მაჩვენებლებს.

*ინტერპრესნიუსი*

# განცხადება

1. ქ. ახმეტის N 5 სკოლა-პანსიონის სატენდერო კომისია, იურიდიული მისამართი ი.ჭავჭავაძის ქ. N 15, აცხადებს ღია ტენდერს აღსაზრდელებისთვის საკვები პროდუქტების, ასევე სხვა საქონლის მიწოდების მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.

(შესასყიდი პროდუქტების ჩამონათვალი მოცემულია N 1 დანართში, ხოლო სხვა საქონლის ჩამონათვალი N 2 დანართში).

დაფინანსების წყარო - ცენტრალური ბიუჯეტი.

2. მიწოდების ადგილი - შემსყიდველი ორგანიზაცია.

ვადა: 2006 წლის 1 აპრილიდან 2006 წლის ბოლომდე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია მხოლოდ სატენდერო მოსაკრებლი*ს გადახდის შემდეგ, 2006 წლის 20 მარტამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ. N 15, N 5 სკოლა-პანსიონი, ოთახი N14, სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ღირებულება შეადგენს 200 ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: ანგარიშის N 34080032 ეროვნული ბანკის ახმეტის ფილიალის კოდი 220101448.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემსყიდველ ორგანიზაციაში, ტელ: 24-20-03, 24-90-26.

5. პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით, ქართულ ენაზე, 2006 წლის 29 მარტის 14 საათამდე, ი.ჭავჭავაძის ქ. N 15, ოთახი N14.

სატენდერო წინადადებათა პაკეტები გაიხსნება პრეტენდენტთა თანდასწრებით, 2006 წლის 29 მარტის 17 საათზე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას იურიდიული პირებისთვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა შსს-დან, რომ პრეტენდენტი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე.

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
2. ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება;
3. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში არ მიმდინარეობს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით ან სამოხელეო დანაშაულისთვის.

იურიდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში ვერ წარმიოადგენს მითითებულ ცნობასა და ინფორმაციას.

შერჩევამდე და შერჩევის შემდეგ მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუკი რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

7. სატენდერო განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობა: გვარი, სახელი, მისამართი, ტელეფონი, ტელეფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტები.

8. სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს პატრონს დაგვიანებული წინადადებების პაკეტს.

9. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

10. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატის მუშაკების: ბელა ზუბაშვილისა და თამილა ვარდოშვილისგან მისამართზე: ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ. N 15, N 5 სკოლა-პანსიონი, ოთახი N14, ტელ: 24-20-03, 24-90-26.

სატენდერო კომისია

მოკლედ

## აბრამოვიჩი თავის ჭკუაზე იმოქმედებს

ლონდონის „ჩელსის“ პატრონმა რომან აბრამოვიჩმა განაცხადა, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ამ ზაფხულს უნდა მოძებნოს მსოფლიო დონის ფორვარდი, რომელიც „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგის მოგებაში დაეხმარება, რაც რომან აბრამოვიჩის ოცნებაა. ასეთი მკვეთრი განცხადებების საფუძველი ის გახდა, რომ ადრე მოურინიო დაჟინებით მოითხოვდა „კოლექტივის“ შექმნას, ანუ გუნდის სუპერვარსკვლავების გარეშე. „ჩელსის“ შეტევების ლიდერის ვაკანსიაზე ორი მილანელი ფორვარდია - ანდრეი შევჩენკო და ადრიანო.

## „რომა“ მზად არის პირესის შესაძენად

იტალიური „რომა“ მზად არის წინასწარი კონტრაქტი გაუფორმოს ლონდონის „არსენალის“ ფრანგ ნახევარმცველს რობერ პირესს. პირესი ნაწყენია, რომ „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ითხოვს მასთან ერთწლიან კონტრაქტს, ნაცვლად ორწლიანი შეთანხმებისა, რომელიც პირესს აძლევს ხელს. „რომა“ მზად არის ფეხბურთელს ხანგრძლივი კონტრაქტი და, ამასთან, ერთ-ერთი ლიდერის როლიც შესთავაზოს იმ ახალგაზრდულ გუნდში, რომელსაც ლუჩანო სპალეტი ხელმძღვანელობს.

## „ბირმინგემი“ იაროშიკს ებღაუჭება

ინგლისური „ბირმინგემის“ მთავარმა მწვრთნელმა სტივ ბრიუსმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს გუნდში დაიტოვოს ლონდონის „ჩელსიდან“ ზაფხულში იჯარის წესით გადაყვანილი ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი ირჟი იაროშიკი. ბრიუსის თქმით, მასზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს გოლის გატანაზე აქცენტირებული ათლეტური ჩეხის თამაშის მანერა. ამ დროისთვის იაროშიკმა ოთხი გოლი პრემიერლიგაში გაიტანა, სამი კი ინგლისის თასზე და ამ მაჩვენებლით ის გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. „იაროშიკმა დაცვაში თამაშსაც რომ მოუმატოს, მაშინ ვიტყოდი, რომ ის მთლიანად უნივერსალური ფეხბურთელია“, - განაცხადა „ბირმინგემის“ მწვრთნელმა.

## ფერგიუსონს სოლსკიაერი არ ემეტება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა გუნდის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივონ კონტრაქტი ნორვეგიელ ფორვარდ ოლე გუნარ სოლსკიაერთან. ფეხბურთელის წინა კონტრაქტს ზაფხულში გასდის ვადა. ფერგიუსონის განცხადებით, ეს წინადადება ფეხბურთელს მორალურად დაეხმარება გადაიტანოს სახის ძვლის მოტეხილობა, რომელიც ნორვეგიელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეორე გუნდში თამაშის დროს დაემართა.

## ლიტვამ ძლიერი სპარინგ-პარტნიორები იპოვა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქე ლიტვამ მოძებნა სასურველი სპარინგ-პარტნიორები, რომლებიც გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებენ. 2 მაისს ლიტველები პოლონეთის ნაკრებს ესტუმრებიან, ხოლო 3 ივნისს გერმანიაში იაპონიის გუნდს შეხვდებიან. წლევანდელ სეზონში თავის პირველ ამხანაგურ მატჩში კი ლიტველებმა ტირანაში დაამარცხეს ალბანეთის ნაკრები - 2:1.

ძიუდო

# ძიუდო ევროპულად

### საქართველოს ნაკრები საევროპოდ ემზადება

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს ძიუდოისტთა ბანაკი ევროპის ჩემპიონატისთვის გაძლიერებულ მზადებაზეა გადასული, ნაკრების მწვრთნელი შოთა ხაბარელი კი ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბებაზე ფიქრობს და საამისოდ მსოფლიო თასის ასპარეზობებს მიმართავს, რომელიც ერთი ქვეყნიდან მეორეში ესტაფეტასავით გადადის. საქართველოს ნაკრებიც დადის ქვეყნიდან ქვეყანაში, ტატამიდან ტატამზე და ევროპის ჩემპიონატისთვის ძალებს იკრებს. უმთავრეს ასპარეზობამდე კი არცთუ დიდი დროა. 26-28 მაისს ტამპერე, ფინეთი კონტინენტის პირველობას უმასპინძლებს, რომელშიც, რა თქმა უნდა, ქართველი ძიუდოისტებიც იასპარეზებენ. მანამდე კი ორიოდ სიტყვით პრაღის მსოფლიო თასზე ვთქვათ.*



ქევხიშვილმა უკრაინელ მეტოქეს პრაღული ოქრო არ დაანება.

შაბათ-კვირას პრაღის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრებმა აშკარად უკეთ იასპარეზა, ვიდრე პარიზის სუპერ მსოფლიო თასზე. მაშინ პარიზულ ტატამზე ერთადერთი მედალი ქართველ გოლიათს ზვიად ხანჯალიაშვილს დარჩა, რომელმაც ფინალში იაპონელ მეტოქესთან იწვნია მარცხი. ისე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხანჯალიაშვილს არცთუ დიდი გამოცდილება აქვს საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობისა, ჯერ ახალგაზრდა ასაკის და მერე ტრავმის გამო, პარიზში დაკავებული მეორე ადგილი კარგი შედეგია. მით უმეტეს, რომ მსოფლიო თასის გათამაშებებიდან პარიზული ტურნირი ყოველთვის გამოირჩევა სიძლიერით.

ახლა პრაღის მსოფლიო თასზეც ვთქვათ, რომელიც ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ყოველ შემთხვევაში, მედლებს დავეუფლეთ თითოეულ წონით კატეგორიაში თუ, რა თქმა უნდა, მძიმეწონას არ ჩავთვლით - მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოსანმა ლაშა გუჯეჯიანმა და ზვიად ხანჯალიაშვილმა ჩეხეთის დედაქალაქი უმედლოდ დატოვეს, დანარჩენებმა კი...

თითო ოქრო, ვერცხლი და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს: დავით ქევხიშვილი (73კგ.) – ოქრო, ზაზა კედელაშვილი (66კგ.) – ვერცხლი; ნესტორ ხერგიანი (60კგ.), მინდია ხომიზური (66კგ.), გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ.), ირაკლი ცირეკიძე (90კგ.) და გიორგი ყიზილაშვილი (100კგ.) ბრინჯაოს მედლები.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა პრაღაში ორი შემადგენლობით იასპარეზა.

ზოგადად მსოფლიო თასზე ქართველთა მონაგარს თუ გადავხედავთ, საქართველოს ნაკრებისთვის პრაღულ ტატამზე ასპარეზობა თბილისის მსოფლიო თასის შემდეგ ყველაზე შედეგიანია.

გუშინ სპორტის ახალგაზრდობის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრესკონფერენციაზე ფედერაციის ხელმძღვანელებმა და ნაკრების მწვრთნელმა პრაღის ტურნირის მიმოხილვის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ეტაპზე გაამახვილა ყურადღება.

“იმის გათვალისწინებით, რომ პრაღას 38 ქვეყანა უძლიერესი შემადგენლობით ეწვია, შედეგებით კმაყოფილი ვარ. ფაქტობრივად, ბირთვი გამოიკვეთა. უფრო სწორად, ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრების შემადგენლობა 80 პროცენტით დაკომპლექტდა. რა თქმა უნდა, წინ კიდევ გვაქვს შეკრებები და ჰოლანდიისა და პორტუგალიის ტურნირები, რომლებიც გუნდის ოპტიმალურად დაკომპლექტებაში დაგვეხმარება. გადასაწყვეტია 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვინ დაიცავს ნაკრების ღირსებას. მოგეხსენებათ, ამ წონაში ზურაბ ზვიადაური და ირაკლი ცირეკიძე გვყავს. მათ შორის საუკეთესოს პორტუგალიის ტურნირზე გამოვავლენთ. ისე, კარგი იქნებოდა ასეთი კონკურენცია სხვა წონით კატეგორიებშიც გვქონოდა. გადასაწყვეტია მძიმე წონაც. მართალი გითხრათ, პრაღის ტურნირზე მძიმეწონოსნებისგან მეტს ველოდი”.

და კიდევ ცნობილია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს დავით მარგოშვილი. მას ტრავმა აქვს. რაც შეეხება ჰოლანდიაში გასამგზავრებელ გუნდს, ხაბარელისგან შევიტყვეთ, რომ როტერდამში ისინი წავლენ, ვისაც საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობის ნაკლები გამოცდილება აქვს.

ფეხბურთი

# ბალაკი „ჩელსიში“ ითამაშებს

მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობამ ბალაკის ტრანსფერის თაობაზე მიუნხენის „ბაიერნის“ შეფობას მიმართა. იქ კი „ბაიერნის“ გენერალურმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ უპასუხა, რომ ბალაკი თითქმის 100-პროცენტიანი ალბათობით ლონდონის „ჩელსიში“ გადავა. ამის შესახებ გერმანული პრესა იუწყება.

„ინტერი“ ძალიან გვიან შეგვეხმიანა, - განაცხადა რუმენიგემ, - ახლა უკვე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბალაკი სულ მალე ლონდონში გადაბარგდება. თუმცა, არსებობს მცირე შესაძლებლობა, რომ ის „ბაიერნში“ დარჩება“. რუმენიგემ აქვე განმარტა, რომ ბალაკის ტრანსფერი არ არის ეკონომიკური სარგებლიანობით გამოწვეული. „უბრალოდ, მას სურს ახალი გამოცდილება შეიძინოს“, - დაამატა „ბაიერნის“ გენერალურმა დირექტორმა.

ინფოთეკა

### იანკერმა „კაიზერსლაუტერნი“ დატოვა

გერმანიის „კაიზერსლაუტერნმა“ ახალი კონტრაქტი გააფორმა 20 წლის მცველ მათიას ჰენთან, რომელიც ბუნდესლიგის კლუბში 2007 წლის ზაფხულამდე დარჩება. ამავე დროს კლუბი დაემშვიდობა 31 წლის ვეტერანს კარსტენ იანკერს. ფეხბურთელი „კაიზერსლაუტერნში“ 2004 წელს იტალიის „უდინეზედან“ გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

### „ვერდერმა“ კაპიტანი დაკარგა

ბრემენის „ვერდერმა“ ტურინში „იუვენტუსთან“ დამარცხების გარდა კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი შეიტყო. ტრავმა მიიღო გუნდის კაპიტანმა ფრანკ ბაუმანმა. „იუვესთან“ მიღებული ტრავმის გამო ბაუმანი იძულებულია სამი კვირა დაისვენოს.

### პირსმა პირობა დადო

„მანჩესტერ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა განაცხადა, რომ სრულფასოვან კონტრაქტს კლუბთან უკვე ამ კვირაში გააფორმებს. საქმე ის არის, რომ მწვრთნელმა ორი კვირის წინათ, Sky Sports-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, „ჩემს მოვალეობებს შესაბამისი კონტრაქტის არსებობის გარეშე ვასრულებო“.

„კაცმა რომ თქვას, ეს ტექნიკური პრობლემებია, რომ აქამდე კონტრაქტი გაფორმებული არ მქონდა, - განაცხადა პირსმა, -უბრალოდ, დრო არ მქონდა დავმჯდარიყავი და კონტრაქტი თავიდან ბოლომდე გადამეკითხა. პრესა ამ ამბის ირგვლივ ხმებს ავრცელებს და სიტუაციას ძაბავს. თუმცა, მე გპირდებით, რომ კონტრაქტზე ჩემს ხელმოწერას ამ კვირის ბოლომდე დავაფიქსირებ“.

### მსოფლიოს ჩემპიონი 18,75 მილიონს მიიღებს

ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი გუნდი 24,5 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს (18,75 მილიონი დოლარი). სულ ფიფას გადაწყვეტილი აქვს ტურნირის მონაწილეთათვის 300 მილიონი ფრანკი გაიღოს. მარტო ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის გუნდები 4,59 მილიონ ფრანკს მიიღებენ. მეორე წრეში გავარდნილი 8 გუნდი 6,5 მილიონს გამოიმუშავებს, ხოლო მეოთხედფინალის ოთხი დამარცხებული 11,5 მილიონს. ნახევარფინალის ორი უიღბლო 16,45 მილიონს დაისაკუთრებს და არაფერს მიიღებს მესამე ადგილისთვის მატჩში. ვიცე-ჩემპიონის ყულაბაში 22,5 მილიონი ჩაჩხრიალდება.

# განცხადება

## ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური

### (მისამართი: თბილისი. გ. ტაბიძის ქ. N4. მე-3 სართული)

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის N10-6 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების კონკურსის ფორმით განკარგვის წესის შესახებ" დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის N22.30.480, 2006 წლის 20 იანვრის N01.21.21, 2006 წლის 20 იანვრის N01.22.22 და 2006 წლის 20 იანვრის N01.23.23 დადგენილების საფუძველზე

**აცხადებს კომერციულ კონკურსს**

1.1. ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ. N64-ში მდებარე შპს "ზოოლოგიური პარკი"-ს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების 206 კვ. მ. ფართობი გაიცემა იჯარის ფორმით 5 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 24720 ლარს.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 6180 ლარის ოდენობით.

"ბე"-ს გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

- სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
- ბანკის კოდი: N 220 101 502
- ანგარიშსწორების ანგარიში: N 023 467 137
- საიდენტიფიკაციო კოდი: N 204 861 319
- შპს "ზოოლოგიური პარკი".

ობიექტის საკონკურსო პირობებია:

- საწარმოს საერთო კომუნალურ ხარჯებში მონაწილეობის მიღება;
- ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა;
- საიჯარო ფართობის კეთილმოწყობა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- საიჯარო ფართობში ელექტროენერგიისა და წყლის მრიცხველის განმხოლოება;
- საიჯარო ფართობში ალკოჰოლური სასმელების რეალიზების აკრძალვა;
- საიჯარო ფართობში ფეთქებადი საშუალებებით ვაჭრობის აკრძალვა.

1.2 ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N83/11-ში მდებარე შპს "ქ.თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი"-ს ბალანსზე რიცხული შენობის 120 კვ. მ. ფართობი გაიცემა იჯარის ფორმით 3 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 14400 ლარს.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 1200 ლარის ოდენობით.

"ბე"-ს გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

- სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
- ბანკის კოდი: N 204 101 502
- ანგარიშსწორების ანგარიში: N 800 467 797
- საიდენტიფიკაციო კოდი: N 204 861 952
- შპს "ქ.თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი".

ობიექტის საკონკურსო პირობებია:

- საწარმოს საერთო კომუნალურ ხარჯებში მონაწილეობის მიღება;
- ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა;
- საიჯარო ფართობის კეთილმოწყობა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- საიჯარო ფართობში ელექტროენერგიისა და წყლის მრიცხველის განმხოლოება;
- საიჯარო ფართობში ალკოჰოლური სასმელების რეალიზების აკრძალვა;
- საიჯარო ფართობში ფეთქებადი საშუალებებით ვაჭრობის აკრძალვა;
- საიჯარო ფართობში საქმიანობის წარმოება, რომელიც ხელს არ შეუშლის და/ან არ შეაფერხებს შპს "ქ.თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი"-ს საქმიანობას.

1.3. ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N83/11-ში მდებარე შპს "ქ.თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი"-ს ბალანსზე რიცხული შენობის 170 კვ. მ. ფართობი გაიცემა იჯარის ფორმით 3 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 20400 ლარს.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 3400 ლარის ოდენობით.

"ბე"-ს გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

- სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
- ბანკის კოდი: N 204 101 502
- ანგარიშსწორების ანგარიში: N 800 467 797
- საიდენტიფიკაციო კოდი: N 204 861 952
- შპს "ქ.თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი".

ობიექტის საკონკურსო პირობებია:

- საწარმოს საერთო კომუნალურ ხარჯებში მონაწილეობის მიღება;
- ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა;
- საიჯარო ფართობის კეთილმოწყობა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- საიჯარო ფართობში ელექტროენერგიისა და წყლის მრიცხველის განმხოლოება;
- საიჯარო ფართობში ალკოჰოლური სასმელების რეალიზების აკრძალვა;
- საიჯარო ფართობში ფეთქებადი საშუალებებით ვაჭრობის აკრძალვა;
- საიჯარო ფართობში საქმიანობის წარმოება, რომელიც ხელს არ შეუშლის და/ან არ შეაფერხებს შპს "ქ.თბილისის N1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი"-ს საქმიანობას.

1.4 ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დ. აღმაშენებლის გამზ. N89/24-ში მდებარე შპს "ტერიტორიათა განვითარების სააგენტო - თბილქალაქპროექტი"-ს ბალანსზე რიცხული შენობის მეათე სართულის 430 კვ. მ. ფართობი გაიცემა იჯარის ფორმით 10 წლის ვადით. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 26400 ლარს.

"ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 2200 ლარის ოდენობით.

"ბე"-ს გადახდის საბანკო რეკვიზიტები:

- სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი მგ N20
- ბანკის კოდი: N 204 101 502
- ანგარიშსწორების ანგარიში: N 290 467 938
- საიდენტიფიკაციო კოდი: N 202 051 019
- შპს "ტერიტორიათა განვითარების სააგენტო - თბილქალაქპროექტი"

ობიექტის საკონკურსო პირობებია:

- საწარმოს საერთო კომუნალურ ხარჯებში მონაწილეობის მიღება;
- ეკოლოგიური, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა;
- საიჯარო ფართობის კეთილმოწყობა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- საიჯარო ფართობში ელექტროენერგიისა და წყლის მრიცხველის განმხოლოება;
- საიჯარო ფართობში ალკოჰოლური სასმელების რეალიზების აკრძალვა;
- საიჯარო ფართობში ფეთქებადი საშუალებებით ვაჭრობის აკრძალვა;

**კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობებისა და შემოთავაზებული პროგრამის (წინადადების) შესრულებაზე:
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობის ასლი (კონკურსანტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება**: 2006 წლის 13 აპრილის 18:00 საათამდე;

კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნება 2006 წლის 14 აპრილს 12:00 საათზე. კონკურსანტებს აქვთ უფლება დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნას.

საკონკურსო კომისია წარმოდგენილი წინადადებების გახსნიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ, რომელსაც აცხადებს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ საკონკურსო კომისია ადგენს და სამსახურს გადასცემს კონკურსის შემაჯამებელ ოქმს, რომელიც 10 დღის ვადაში ამტკიცებსკონკურსის შედეგებს.

სამსახურის მიერ კონკურსის შედეგების დამტკიცების შემდგომ საკონკურსო კომისიის ოქმი გადაეცემათ კონკურსანტებს, ხოლო კონკურსში გამარჯვებულს ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კონკურსში გამარჯვებულთან გასაფორმებელი ხელშეკრულებისათვის საჭირო ყველა ხარჯებს (სანოტარო წესით გაფორმება, რეგისტრაცია და სხვა) გაიღებს კონკურსში გამარჯვებული.

**განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი. გ. ტაბიძის ქ. N4 მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (ზურაბ ლომინაძე)**

# თბილისი - ათენი

ლია თოფურია

ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ისტორიას, უხსოვარი დროიდან რომ იწყება, ამ პატარა წერილში, რა თქმა უნდა, ვერ მოვყვები. ისტორიის მხოლოდ ერთ პატარა, ჩვენი დროის თავისებურებებით აღბეჭდილ ფურცელს შევეხები.

საბერძნეთში, თურმე, დაახლოებით 150 ათასი ქართველი ემიგრანტია. ეს მხოლოდ რეგისტრირებული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთი ამდენი არალეგალურად შესულია და მალულად ცხოვრობს. საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილი ადამიანი დღეს ვილას უკვირს. გაურბიან უმუშევრობას, გაჭირვებას, დაუცველობას... მუშაობენ, ძირითადად, ოჯახის დამხმარეებად, რათა ფული შინ, ახლობლებთან გამოგზავნონ ან საკუთარი სიბერე უზრუნველყონ... მაგრამ შემხვდა ადამიანი, რომელიც თავისი იქ ყოფნით ემიგრანტებს ყოფას უმსუბუქებს – საკუთარი, როგორც თვითონ ამბობს, "მომაკვდავი ბებიების მოვლით" მოპოვებული ფულით საბერძნეთში ქართული გაზეთი და ჟურნალი დააარსა, წიგნები გამოსცა, უკვე 32 წიგნი...

ქალბატონი ანა ყურშავიშვილი ათენში ოთხი წლის წინ წავიდა. პროფესიით ჟურნალისტია. ჰყავს სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი. წარმოშობით თიანეთელია. 20 წელიწადი ახალგორის რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, აქედან 16 წელი – რედაქტორად; ფოსტის გამგედაც მუშაობდა, შემდეგ სადაბო საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს; შემდეგ...

ცდილობს, აუღელვებლად მომიყვეს, რომ ათენამდე მისასვლელად ცხრა დღე-ღამის განმავლობაში ფეხით მიდიოდა ბულგარეთ-საბერძნეთის ტყეში; რომ ორჯერ იყო დეპორტირებული; საბუთი დღემდე არ აქვს; საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო თვენახევარი ციხეშიც კი იჯდა...

პირველად ათენის ქუჩებში რომ გავიდა, ორი ქართველი შეხვდა. გამოელაპარაკნენ. სიხარულით ფეხზე ძლივს იდგა. ახალმა ნაცნობებმა კი ჩანთიდან იეღოვური ლიტერატურა ამოიღეს და შესთავაზეს... მას შემდეგ სულ ფიქრობდა, ისეთი რამ გაეკეთებინა, რომ სამშობლოდან შორს მყოფი ქართველებისთვის ქართული, ეროვნული ლიტერატურა მიეწოდებინა.



*26 მაისი. ათენი. მამა თეიმურაზი, საქართველოს ელჩი საბერძნეთში ზვიად ჭუმბურიძე და ქართული დიასპორა.*

საბერძნეთის ქართველებს შორის (ამ, ოჯახებისთვის გადაგებულ-გადახვეწილ ქართველ მანდილოსნებს, ანამ "დედა-ემიგრანტები" დაარქვა) ზოგი ლექსებს წერს, ზოგი – სიმღერებს. ერთ-ერთმა მათემატიკის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, სკოლაში მუშაობა სთხოვეს, მაგრამ უფლება არა აქვს... ზოგმა იქ დაიწყო მოთხრობების წერა, ადრე არასოდეს უფიქრია. ანას არაფრით არ უნდოდა, ეს ყველაფერი დაკარგულიყო. ასე გაუჩნდა გაზეთის ("ელადა", თავიდან "ნოსტალგია" ერქვა), მოგვიანებით კი ლიტერატურული ჟურნალის ("თაობა") იდეა. ბოლო, 32-ე წიგნის ("გამარჯობა, კუ") ავტორიც თვითონ არის.

ქართული დიასპორის გაზეთი "ელადა" უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა. "ელადასთან" ერთად ვრცელდება ჟურნალი "კანდელი" (რედაქტორი კახაბერ ცინცაძე) და ლიტერატურა, რომელსაც საბერძნეთში აგზავნიან ძმები - მამა ანტონი და მამა ზაზა, აგრეთვე, მათი მრევლი, განსაკუთრებით, ქალბატონი ქეთევან დალაქიშვილი.

"ჩემი იქაური უახლოესი მეგობარი ლილი ჯალაბაძე მეტყვის ხოლმე: მინახავს რედაქცია, იმხელა შენობაა, იმდენი ხალხი მუშაობს; მარტოდმარტო ან გაზეთს როგორ აკეთებ, ან ჟურნალსო. როგორ ვაკეთებ და, ხან მუხლზე ვწერ სააბაზანო ოთახში, ხან – საწოლში, მთვარის შუქზე, დიასახლისმა რომ არ გამიგოს. ძალიან ბრაზობს, მაგაში არ გიხდი ფულსო. ერთხელ ჩემი ნაწერი იპოვა და, ეს "არაბული" აქ საიდან გაჩნდაო, მაინც რას წეროო. – ჩემს პრეზიდენტს წერილს ვწერ, შენ რომ ასე მაწვალებ-მეთქი. ძალიან განერვიულდა, რას ამბობ, მერე ის ხომ ჩემს პრეზიდენტს მოწერს, გეხვეწები, არ მიწერო, აღარ გაგაბრაზებო... "ელადა" ჩვეულებრივი გაზეთი არ არის. ეს ემიგრანტული დღიურია, მატიანე. თან, აქ გადმოხვეწილებს ძალიან ახალისებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ელოდებიან და როგორ უხარიათ საკუთარი თავის გაზეთში ხილვა. ამ გაზეთს მე ჩემი მეოთხე შვილი დავარქვი. ძალიან მადლიერი ვარ ჩვენი ელჩის, ბატონ ზვიად ჭუმბურიძის, რომელმაც სრული თანადგომა გამიწია. ოთახი გამოგვიყო, სადაც ვიკრიბებით, ქართველი ემიგრანტების შეხვედრებს ვაწყობთ. გასულ 26 მაისს, პირველად საბერძნეთში, საქართველოს ეროვნული დღესასწაული ვიზეიმეთ. ათენის ცენტრში ქართული დროშა აღვმართეთ, ისმოდა საქართველოს ჰიმნი, საგალობლები. ბერძნები აღტაცებულნი დარჩნენ, რა ხალხი ყოფილხართო.

"ელადას" ბევრი გულშემატკივარი და ერთგული კორესპონდენტი ჰყავს: ხათუნა ქარსაულიძე, მაყვალა მესხაძე, ნუნუ ღურჭუმალიძე, ცეზარ ჯალაბაძე, მზია ჯანელიძე, ნარგიზა პაპუნაშვილი, გულო დევიძე, იზო დაშნიანი, ეთერ ხვიჩია, ლეილა ობოლაძე, ესმა ღონიაშვილი, მირიან ზალოშვილი... საერთოდ, დავრწმუნდი - ქართველს თუ სურს, უცხოეთში თავი გადაირჩინოს, ქართული საქმე უნდა აკეთოს!"

არის ათენის ცენტრში მოედანი, "ომონია" (თანხმობა) ჰქვია. იქ იკრიბება ყველა უცხოელი, კვირადღეს ვერ გაივლი, იმდენი ხალხია. ქართველებიც აქ ხვდებიან ერთმანეთს, და მოიკითხავენ. იქიდანვე ვრცელდება გაზეთებიც არა მარტო ათენში, არამედ საბერძნეთის სხვა ქალაქებსა და კუნძულებზე. თუ ვინმეს ნახავენ, რომელსაც სამუშაო ჯერ ვერ უშოვია, ან რაც იშოვა, იმას ვერ გაუძლო, იქვე ეხმარებიან. "გაჭირვებულ ქართველს თვალს რომ მოკრავ, ვინაობას არ ეკითხები. ჯიბეში რაც გიდევს, 20 ევროა თუ რამდენიც აღმოგაჩნდება, აძლევ. ვთქვათ, გარდაიცვალა ვინმე ჩვენებური (ან ავად გახდა, ან სხვა რამ შეემთხვა), მაშინვე გაზეთით ვაგებინებთ ყველას და ყულაბაში გროვდება ნელ-ნელა ის 2 ათასი ევრო, რომელიც გადმოსვენებას სჭირდება." ასევე შეგროვდა ალავერდის ტაძრის დასახმარებლად თუ ვანის ღვთისმშობლის ეკლესიის ასაშენებლად შესაწირავი. გაზეთია ხოლმე ხშირად ინიციატორი თუ დამხმარე, დამაკავშირებელი თუ მანუგეშებელი. "რაც ათენში ვარ, ერთხელ ვიყავი ბედნიერი, - იხსენებს ქალბატონი ანა, - შარშან მაისში, როდესაც ჩვენი პატრიარქი ჩამობრძანდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პოლიციელის არ მეშინოდა, თუმცა ბლომად იყვნენ. ჩემს მდგომარეობაში ხომ ყოველწუთს შეიძლება გაგაჩეროს და ხელებზე ბორკილები დაგადოს. ეს, ალბათ, სამუდამოდ დამრჩება – ლურჯტანსაცმლიან მამაკაცს რომ ვხედავ, გული ცუდად მიხდება."

საელჩოს დახმარებით შეიქმნა ქართული საკვირაო სკოლა. ქართველი პედაგოგები, რომელთაც შვიდი დღის განმავლობაში უმძიმესი შრომა აქვთ, მაინც ახერხებენ, ამ სკოლაში ასწავლონ. დასვენების ერთი დღე აქვთ და იქ გარბიან, რომ ქართველ ბავშვებს მშობლიური ენა და ისტორია არ დაავიწყდეთ. არის ასეთი ქალბატონი – მაყვალა მესხაძე. მისი კვირადღე, თურმე, ასე იწყება: გააკეთებს დავით აღმაშენებლის პორტრეტის ქსეროასლებს, 17-ვე ბავშვს დაურიგებს, სახლში დაკიდეთო; შემდეგი კვირა თამარ მეფეს ეძღვნება, და ა.შ. ამ საქმიანობამ არა მარტო ბავშვები, თვით ეს ქალბატონი გადაარჩინა. "ჩვენ თუ არ მივხედეთ, ბერძნები ხომ არ იდარდებენ ამაზე? ჩვენსავით კი არ არიან, ქართულ ფილმში რომ ბერძენი ვამღერეთ. სხვათა შორის, ერთ შეხვედრაზე რომელიც ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორის, ბატონ ავთანდილ მიქაბერიძის ინიციატივით მოეწყო, იოვანა მოვიწვიეთ. მწერალია. მშვენივრად გამოიყურება, უყვარს ქართველები და სიამოვნებით იხსენებს ძველ დროს. სიმღერაშიც აგვყვა."

ვათვალიერებ გაზეთის, ჟურნალის ნომრებს, ვკითხულობ. ცხადად ვხედავ, როგორ ცხოვრობენ, რას განიცდიან... და თვალში მომხვდა ნაცნობი ფრაზა, რომელიც მთელი ამ ემიგრანტული შემოქმედების დევიზია: "მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა."

## ნინია კაკაბაძის სვეტი

## ყვავილებით მოსული ხელისუფლება

მერწმუნეთ, არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც დღევანდელი ხელისუფლების მდგომარეობა ახარებს, მაგრამ არც ის შემიძლია დავმალო, რომ, მათი ქმედებიდან გამომდინარე, დადგა დრო, როდესაც ჩვენ თვალწინაა დაშლის პირას მყოფი უმრავლესობა და მთავრობა. სამწუხაროდ, ამის მთავარი მიზეზი გახდა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე. ამ ისტორიის მიმართ საპარლამენტო უმრავლესობა მხოლოდ რამდენიმე ყალბად წარმოთქმული, გაბრაზებული და მიცვალებულზე განაწყენებული რეპლიკებით შემოიფარგლა. ყველაფერი ეს კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს სკეპტიციზმს. ალბათ ჯერ კიდევ შორს ვართ იმ პერსპექტივისგან, როდესაც ასეთ დროს მიცვალებულის ოჯახს ხელისუფლების (პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უზენაესი სასამართლო) იმედი უნდა ჰქონდეს და არა მხოლოდ საზოგადოების. "ხალხი ფეხზე დადგება," - ამბობს გირგვლიანის დედა და შველასაც მათგან ითხოვს. ეს კი ლოგიკურია, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ ვანო მერაბიშვილის უფლებებს იცავენ საჯაროდ და სხვას არავის. ტრაგიკომიკურია ის ვითარება, რომ შემსრულებლების დაკავებისას ბრიყვი ქალბატონები და ბატონები ღიად საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სპონტანურ მკვლელობას დამკვეთი ჰყავდეს. თუ არსებობს სპონტანური მკვლელობა, რატომ არის შეუძლებელი სპონტანური დაკვეთა?! მაგალითად, ამ სახით - "გაიყვანეთ და ჭკუა ასწავლეთ", ან "დედა უტირეთ", ან "მოკალით". რატომ არის ქალბატონ ნინო კალანდაძისთვის ამ სიტყვების წარმოთქმა ამგვარ სირთულეებთან დაკავშირებული?! სამარცხვინოა და მრცხვენია ამ ქვეყნის მოქალაქეს, რომ ასეთი არაჰუმანური, არაკორექტული მკვლელების ხელში აღმოჩნდა თანამედროვე საქართველო. ვფიქრობ, დღეს მელნიკოვის, ახალაიას, დონაძის, სანოძის უფლებები არ არის დასაცავი, ან გნებავთ ვანო მერაბიშვილის, რომელსაც მაღალ თანამდებობებზე აშკარა მწვალებლები და მკვლელები ჰყავს. რა გარანტია გვაქვს, რომ მის მიერ დანიშნული შემდეგი კადრები ასეთები არ იქნებიან?! რასაკვირველია, "დასაფასებელია" მერაბიშვილის მოღვაწეობა გახსნილი და გადადებული საქმეებისთვის. ეს საქმეები გირგვლიანის მკვლელობას არ ელოდნენ, ასეთი საქმეები მათ გარდაუვალი წარუმატებლობისგან იცავს - დავარდა რეიტინგი, სასწრაფოდ ავწევთ. ეს ქართული პოლიტიკური ოინები უკვე ზედმეტად ბანალური და კომიკურია, რასაკვირველია, ტრაგიკული რომ არ იყოს. ამ მინისტრისა და მისი თანამშრომლების დაცვა არ ეთაკილებათ დღეს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ ამგვარ მოვლენებს თავად ებრძოდნენ. დღეს კი ისინი ასეთ მინისტრს პარლამენტის დარბაზიდან სამარცხვინო ტაშით აცილებენ. ჭეშმარიტად შექმნილი სტერეოტიპია, სადაც, სამწუხაროდ, გამონაკლისები არ არსებობს - ძალაუფლებასა და თანამდებობას ჩაბღაუჭებული ადამიანი მხოლოდ მოპოვებულ მდგომარეობას დარაჯობს.

უკვე საშინელ, მოსაბეზრებელ და ცარიელ სიტყვებად იქცა განსხვავებული აზრის მქონე, ამ შემთხვევაში ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ მიმართული გამონათქვამები: "ეს ის ხალხია, ვინც ქურდული სამყაროს უფლებებს იცავს". დამეთანხმებით, რომ ბრალდება ზედმეტად უსუსურია. თუ ვინმემ რუსთაველის გამზირზე მოწყობილი მასკარადი გააპროტესტა და ეს მისი მოქალაქეობრივი პოზიცია იყო, როგორც არ უნდა ვეწინააღმდეგებოდეთ მათ, არა მგონია, ეს კანონიერი ქურდების უფლებების დაცვას გულისხმობდეს. ზოგადად კი სუბიექტურად და ტენდენციურად ვხარობ, რომ დღევანდელ გახრწნილ პოლიტიკურ სპექტრში ლევან ბერძენიშვილი, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, ივლიანე ხაინდრავა და კიდევ რამდენიმე ადამიანი უმცირესობაში იმყოფება და არა უმრავლესობაში. ეს პირადად ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის ერთი მოქალაქისთვის, უკეთესი საქართველოს მცირე გარანტია მაინც არის. ყოველთვის იქნება იმის შანსი, რომ ისეთ ოდიოზურ პირებს, როგორებითაც დღეს სავსეა პარლამენტი და მთავრობა, უმცირესობის სახით, მაგრამ ყოველთვის ეყოლება ალტერნატივა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს ჩემი სუბიექტური და ოპტიმისტური მოსაზრებაა.

**დაბოლოს**. როგორც ჩანს, საბოლოოდ დასრულდა ორწლიანი, ძალდატანებით მიღებული ოპტიმიზმის ეპოქა. აქ აღარ არის საუბარი კორუფციასა და მარტივ უსამართლობებზე, საქმე გვაქვს მკვლელებთან. რამდენიმე ხნის წინ პრეზიდენტის მიერ გაცემული განკარგულება დამნაშავეების ადგილზე დახვრეტის შესახებ კიდევ ორ ახალ და ისევ სამწუხარო სიახლეზე მიგვითითებს. პირველი - როგორც ეტყობა, საქართველოში არაოფიციალურად, ევროკავშირი რომ არ გავაღიზიანოთ, სიკვდილით დასჯა აღდგა და მეორე - ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მერაბიშვილის ორგანო სავსეა არაკვალიფიციური და არაპროფესიონალი მუშაკებით, რომელთაც არ შეუძლიათ დამნაშავის დაკავება. ამიტომ საუკეთესო გამოსავალი ექვმიტნილების ადგილზე განადგურებაა.

ასეთ შემთხვევაში, დამეთანხმებით, სიჩუმე ყველაზე დიდი დანაშაული იქნება. თუ დღევანდელ ხელისუფლებას წინ არაფერი დახვდა, ცოტა ხანში მსხვერპლთა რიცხვი კოლოსალურ ციფრს მიაღწევს. თუ სანდრო გირგვლიანის დედა სწორედ საზოგადოებისგან ითხოვს თანადგომას, ეს სრულიად გაცნობიერებული ნაბიჯია მისი მხრიდან, რადგან დღეს მხოლოდ ძლიერ საზოგადოებას შეუძლია ხმა აიმაღლოს იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც ახალი, მშვიდობიანი, **ყვავილებით მოსული ხელისუფლება სჩადის**.

# რატომ უჩივლა ბიძინა ივანაშვილმა ამერიკელ ინვესტორს და ორი შვილის დედას, თამარა ტიფანის სასამართლოში?

თამარა ტიფანი საქართველოში პირველად 1995 წელს ჩამოვიდა, ცოლად თბილისელ ვასიკო ცოტაძეს გაჰყვა და დღეს უკვე ორ ქართველ ვაჟკაცს ზრდის. გარდა ამისა, თამარამ საქართველოში ამერიკული ინვესტიციაც ჩამოიტანა - 8 წლის წინ, თბილისის თავზე, ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი შეიძინა და "თბილისის ჰორიზონტის", ანუ ე.წ. ქართულ-ამერიკული სოფლის მშენებლობა დაიწყო. ცნობისათვის: "თბილისის ჰორიზონტი" თერთმეტი სახლისგან შედგება. აქედან, 3 სახლი მთლიანად დასრულებულია, დანარჩენი 8 კი - რემონტის სხვადასხვა სტადიაშია. სახლების საერთო ფართი, დაახლოებით, 6500 კვმ-ია. აღსანიშნავია, რომ "თბილისის ჰორიზონტის" წითელკრამიტიანი სახლები დედაქალაქის თითქმის ყველა კუთხიდან შესანიშნავად ჩანს და ამშვენებს თბილისს. სხვათა შორის, იმ დროს, როცა თამარამ "თბილისის ჰორიზონტის" საძირკველი გაჭრა, მიმდებარე ტერიტორია აბსოლუტურად აუთვისებელი იყო, თუმცა მოგვიანებით, ანუ ხუთი წლის შემდეგ იქვე, მიწის ნკვეთი ქველმოქმედებით ცნობილმა ბიძინა ივანაშვილმა შეიძინა. ბატონი ივანაშვილის წარმომადგენლებს "თბილისის ჰორიზონტის" სამშენებლო სამუშაოები, როგორც თამარა ამბობს, თავიდანვე დეტალურად შეუსწავლიათ. უფრო მეტიც, "თბილისის ჰორიზონტისა" და "ინტერსერვისის", შესაბამისად, ბატონ ბიძინა ივანაშვილის პირადი წარმომადგენლის, ელდერ გოგოლაძის თანამშრომლობა ე.წ. სამეზობლო პერიმეტრული კედლის მშენებლობისა და კედლის წინ ხეების დასარგავად საჭირო ორმოების აფეთქების დროსაც გაგრძელებულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც "თბილისის ჰორიზონტმა" სამშენებლო სამუშაოები დაასრულა, "ინტერსერვისმა" სასამართლოში საჩრელი შეიტანა და ხუთი სახლის დანგრევა და მთელი პროექტის გაუქმება მოითხოვა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: სასამართლომ "ინტერსერვისის" მოთხოვნები უსიტყვოდ დააკმაყოფილა. უფრო მეტიც, თამარა ტიფანზე, სასამართლოს გადაწყვეტილების არშესრულების საბაბით, სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს და ეს იმ დროს, როცა ბატონი ბიძინა ივანაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს,





არასოდეს არავისთვის მიჩივლია და არც ვუჩივლებო. ისე, თამარა ტიფანი დარწმუნებულია, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ბატონმა ბიძინამ არაფერი იცის ან, უფრო სწორად, მას თავისმა გარემოცვამ "თბილისის ჰორიზონტის" შესახებ არასწორი ინფორმაციები მიაწოდა. თამარა იმასაც ეჭვობს, რომ ამ დავას გარკვეული ადამიანები პირადი კეთილდღეობისთვის იყენებენ.

- თამარა, რამდენი წელია, ეს დავა გრძელდება?

- სამი.

- ამ ხნის მანძილზე ბატონ ბიძინასთან შეხვედრა არ გიცდიათ?

- ამ ხნის მანძილზე ყველა შესაძლო გზას მივმართე, რომ ბატონ ბიძინას შევხვედროდი და ეს დავა პირადად განგვეხილა, მაგრამ შეხვედრა დღემდე ვერ მოვახერხე.

- რატომ?

- დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეხვედრას ხელს ის ადამიანები უშლიან, ვინც ამ საქმესთან მიმართებაში ბატონი ბიძინას წარმომადგენლებად ითვლებიან. სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავენ. სხვათა შორის, ბატონ ბიძინას ორჯერ წერილიც გავუგზავნე, მაგრამ წერილები უკანვე დამიბრუნდა, თუმცა მჯერა, რომ ამის შესახებ მან არაფერი იცის.

- ასე რატომ ფიქრობთ?

- მსმენია, რომ ბატონი ბიძინა ცნობილი ქველმოქმედი, ჰუმანისტია და ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელმაც "სამების" მშენებლობა დააფინანსა, ჩემს ორ მცირეწლოვან შვილს სახლი დაუნგრევს და ქუჩაში გააგდებს! შვილები ბატონ ბიძინასაც ჰყავს და, ალბათ, ადვილად წარმოიდგინეს, როგორ ფსიქოლოგიურ ტრამვას მიიღებენ ბავშვები, როცა აღმასრულებლები "ბულდოზერებს" მოიყვანენ და სახლის დანგრევას დაიწყებენ!

"თბილისის ჰორიზონტი" ბატონი ბიძინას მშენებარე კომპლექსს, რომელიც ბოტანიკურ ბაღს ემიჯნება, არანაირ ზიანს არ აყენებს, ანუ ეს სახლები ბატონ ბიძინას არც ხედს უაფარავს, არც გზას უკეტავს და არც მატერიალურ ზიანს აყენებს. სწორედ ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ თავისივე წარმომადგენლებმა ის შეცდომაში შეიყვანეს და მოატყუეს!

- თამარა, ამ სამი წლის მანძილზე, თქვენსა და ბატონ ბიძინა ივანაშვილის წარმომადგენელბს შორის რამე მოლაპარაკება გამართულა?

- დიახ, გამართულა. მას შემდეგ, რაც სასამართლომ ხუთი სახლის დანგრევის დადგენილება გამოიტანა, ჩემს მეუღლეს, ვასიკო ცოტაძეს, შეხვდა "ქართუ ჯგუფის" წარმომადგენელი, ბატონი ლევან დვალი. სხვათა შორის, ადრე ბატონი ბიძინას სახელით მოლაპარაკებებს "ქართუ ჯგუფის" პრეზიდენტი გია ლომაია და "ქართუ ჯგუფის" უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ელდარ გოგოლაძე მართავდნენ, თუმცა ეს პიროვნებები დღეს "ქართუ ჯგუფში" აღარ არიან. ბატონ ლევან დვალის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ "თბილისის ჰორიზონტის" გაყიდვაზე დავთანხმდებოდით, ჩემ წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდებოდა და ჩვენზე ზეწოლა აღარ გაგრძელდებოდა.

- ხელისუფლება თუ არის საქმის კურსში?

- ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი საქმის კურსშია, თუმცა ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა.

- თქვენი მეუღლისა და ბატონი დვალის შეხვედრას კონკრეტული შედეგი მოჰყვა?

- არა. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც ჩვენი პირობები დავასახელეთ, ბატონმა დვალმა განაცხადა, რომ ეს პირობები თითქოს ბატონი ბიძინასათვის მიუღებელია და მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაგვიხდიდნენ კომპენსაციას, თუ თერთმეტივე სახლს ორ კვირაში დავანგრევდით.

- რა სახის კომპენსაცია შემოგთავაზეს?

- ეს იმდენად შეურაცხმყოფელი წინადადება იყო, რომ მასზე საჯაროდ ლაპარაკი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

- თავიდან სადაო, როგორც თქვით, 5 სახლის სხვადასხვა ნაწილი იყო. აბა, ახლა მთელი პროექტის განადგურება რატომ დადგა დღის წესრიგში?

- ეს მეც ვერ გავიგე. სხვათა შორის, "ინტერსერვისიც" სახლების ნაწილობრივ დემონტაჟს ითხოვდა, მაგრამ მოსამართლე ნინო შარაძემ მთელი პროექტის განადგურების გადაწყვეტილება გამოიტანა.

- "ნაწილობრივ დემონტაჟი" რას ნიშნავს?

- ვერ გეტყვით. სახლი კარაქი ხომ არაა, ერთი ნაწილი ჩამოაჭრა ან ეს ჩამოჭრა ხელს ვის აძლევს? არა მგონია, ამ "ჩამოჭრით" თვითონ ბატონი ბიძინა იყოს დაინტერესებული. ან ვინ მოიგებს ამით, მით უმეტეს, რომ თვითონაც ვერაფერს ააშენებს, რადგან "თბილისი ჰორიზონტის" მიმდებარე ტერიტორია მას მშენებლობის უფლების გარეშე აქვს ნაყიდი???

- თამარა, რას აპირებთ და რისი იმედი გაქვთ?

- ჯერ საქმე სააპელაციო სასამართლოშია და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი სამართლიანად გადაწყდება. სხვათა შორის, მოსამართლე ნინო შარაძეზე სადისციპლინარო დევნა აღვძარით. მისი დარღვევები, მარტო ჩვენს საქმეზე, სამ გვერდს აღემატება. ისე, არც იმის იმედს ვკარგავ, რომ ბატონ ბიძინასთან შეხვედრას მოვახერხებ და ორივე მხარისთვის ხელსაყრელ კომერციულ შეთანხმებამდე მივალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ევროსასამართლოს მივმართავ. ეს კი ამ დავაში ჩართული ყველა მხარის და რაც მთავარია, ჩემი მეორე სამშობლოს - საქართველოს რეპუტაციაზე ძალიან ცუდად იმოქმედებს!

ბოლოს, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა რომ ბატონმა ბიძინა ივანაშვილმა ამ ფაქტებზე არაფერი იცის, ე.წ. რწმუნებულები მის ნდობას ბოროტად იყენებენ, ცრუ ინფორმაციას აწვდიან და ამით თავიანთ საქმეს აკეთებენ, თორემ ასეთმა ქველმოქმედმა არ შეიძლება, არაკეთილსინდისიერ ადამიანებს უფლება მისცეს, რომ მათ ბატონ ბიძინას სახელით ვანდალური აქტი ჩაიდინონ და ოჯახები გაანადგურონ!

მჯერა, ამ ინტერვიუს ბატონი ბიძინაც წაიკითხავს და ჩვენს შეხვედრასაც ხელს ვეღარავინ შეუშლის!



# სტუმრად

მაია ჭალაგანიძესთან

# ბიზნესი მდგრადია, თუ პოლიტიკას არ ეხება

პირველი გვერდიდან

**- რა წინააღმდეგობები გადაგეღობათ ბიზნესის განვითარების გზაზე ამ 10 წლის განმავლობაში?**

- საკმაოდ რთული გზა გავიარეთ. კერძო ამერიკელი ინვესტორები, დაახლოებით, 1996 წლის ბოლოს დაინტერესდნენ ჩვენი პროექტებით. პირველი, რითიც იმთავითვე დაინტერესდნენ, იყო სასტუმრო „თბილისი", რომელიც 2002 წელს გაიხსნა.

1996-1997 წლებში გაცილებით რთული იყო ბიზნესის კეთება და განსაკუთრებით - უცხოური დაფინანსების მოზიდვა.

**- რა იზიდავდათ იმ პერიოდში უცხოელ ინვესტორებს საქართველოში?**

- უცხოელ პარტნიორებს ინვესტიციების განხორციელება, უბრალოდ, პიროვნულმა ურთიერთობებმა გადააწყვეტინა. გარდა ამისა, მათ ამგვარ ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება ჰქონდათ.

მთავარი, რაც ბიზნესს ინვესტიციების შემოსვლისას აინტერესებს, არის ის, თუ რამდენად პროგნოზირებადია ეს ქვეყანა. შესაბამისად მნიშვნელოვანია რისკის და თანხის დაბრუნებადობის კოეფიციენტის შეფასება. ასე რომ, როდესაც ინვესტორი ამა თუ იმ ქვეყანაში პორტფელს გეგმავს, ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია.

**- ეს რისკები დღეს რა თვალსაზრისით შემცირდა?**

- პოსტსაბჭოთა სივრცე ამ მხრივ სპეციფიკური და ცოტა რთულად პროგნოზირებადია. 1997 წელთან შედარებით, რისკი, რა თქმა უნდა, შემცირდა, რადგან ინსტიტუტები უფრო გამოიკვეთა. მაგრამ, საბოლოოდ ეს ის არ არის, რაც ბიზნესს უნდა. ბიზნესს თავისი წესები აქვს. იაფი კაპიტალის შემოსვლას და ფულის გაიაფებას დრო სჭირდება. სასწაულები არ ხდება. ქვეყანაში არა მხოლოდ პოლიტიკური რისკი უნდა შემცირდეს, არამედ ინვესტიციას მენტალურად მომზადებული საზოგადოება უნდა დახვდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ფულის დოვლათად ტრანსფორმაცია ვერ მოხდება.

**- ქვეყანაში შემოსასვლელად ინვესტორისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემაა. ამ მხრივ რა გამოცდილება გააჩნია თქვენს კომპანიას?**

- ბუნებრივია, რომ თუ გამართული სასამართლო სისტემა არ არის, ძალზე მძიმეა საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება. რა თქმა უნდა, ჩვენი სასამართლო სისტემა იდეალური არ არის. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის დავებში არ არის აუცილებელი, სახელმწიფომ გაიმარჯვოს. ბიზნესს, თუ ის მართალია, უნდა ჰქონდეს შანსი, ეს ყველა დიდ ქვეყანაში ასეა. დღეს განვითარების პროცესია. პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაფერი იდეალური ვერ იქნება. უბრალოდ, ჩვენ ყოველთვის უფრო მეტი, ბიზნესისთვის გაცილებით ეფექტური სასამართლო სისტემა გვინდა, ეს აუცილებელია ინვესტიციებისთვის.



**- გეთანხმებით, საზოგადოების მენტალიტეტი დემოკრატიული ინსტიტუციების მოწყობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ბიზნესისადმი?**

- მენტალობის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს ძალიან დიდი როლი აქვს, მაგრამ მთავარი მაინც საზოგადოების როლია. ახალი ფორმაციის მხოლოდ 15-წლიანი გამოცდილება გვაქვს და შეუძლებელია, საზოგადოება მზად იყოს ამისთვის. საზოგადოების გარკვეული ფენა აბსოლუტურად მოუმზადებელი შეხვდა ამ ახალ ფორმაციას – ინფორმაციულადაც, ქმედებითაც, განათლების დონითაც. საქართველოში პოსტსაბჭოური სივრციდან ყველაზე მეტად არსებობდა მეწარმის ფსიქოლოგია, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო. დღეს ხალხი უფრო მომზადებულია, მაგრამ საზოგადოებას არ მიეწოდება სწორი ინფორმაცია ბიზნესის შესახებ. ეს ხომ დოვლათის შექმნაა? კაცობრიობას კერძო ბიზნესზე დაფუძნებულ ეკონომიკურ ფორმაციაზე კარგი ჯერ არ გამოუგონია. თუ ქვეყნის მიზანი დოვლათის შექმნაა, ამის ფორმა კერძო ბიზნესია. საზოგადოება კი ამ პროცესის თანამონაწილე უნდა იყოს. თუ ის ამისთვის მზად არ არის, ეს მხოლოდ მისი ბრალი არ არის, ამას საგანმანათლებლო, განმარტებითი მუშაობა სჭირდება და ეს ბიზნესთან ერთად სახელმწიფომ მიზანმიმართული საქმიანობისა და პოლიტიკის შედეგად უნდა გააკეთოს.

**- ამ კონტექსტში, ალბათ, უნდა ვისაუბროთ იმ ეკონომიკურ რეფორმებზეც, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გარდაუვალია და რაც მძიმედ აისახება ადამიანებზე. როგორ გრძნობს ბიზნესი თავს საქართველოში ამ რეფორმებისა და ეკონომიკური რყევების ფონზე?**

- ბიზნესი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებისადმი ძალიან მგრძნობიარეა. მთავარი პროგნოზირებადი გარემოა და რაც კი ამას ხელს უშლის, ბიზნესისთვის ყველაფერი პოტენციური საფრთხეა. საგადასახადო კოდექსს რაც შეეხება, ზოგადად რომ შევეხოთ, გადასახადების საერთო რაოდენობამაც იკლო და პროცენტული განაკვეთებიც შემცირდა.

**- საქართველოში, ტრადიციულად, პოლიტიკა წარმართავდა ეკონომიკას. ახლა როგორ არის, საზღვრები გაიმიჯნა?**

- ბიზნესის მენეჯერი ვარ და ამ საკითხში ექსპერტად არ გამოვდგები. საზოგადოებრივ აზრზე, რა თქმა უნდა, დამოკიდებული ვართ, რადგან საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ობიექტებს ვფლობთ და ასეთსავე განვითარებას ვგეგმავთ. ბიზნესის მდგრადობა მისი არაპოლიტიკურობით განისაზღვრება. ჩემი აზრით, ის ბიზნესია მდგრადი, რომელიც პოლიტიკას ნაკლებად ეხება. სწორედ ამ პრინციპის განხორციელებას ვცდილობთ.

**- თქვენი კომპანიის ყველა ობიექტი პოლიტიკურ ეპიცენტრშია. თქვენი ოფისის, "ქორთიარდის" წინ, თავისუფლების მოედანზე დაიწყო რევოლუციაც...**

- ბიზნესმენები პრაგმატული ხალხი ვართ და დაზღვევა გვქონდა... ეს ხუმრობით, მაგრამ ამაში სიმართლის მარცვალიც არის, რადგან რისკები დაზღვეული გვაქვს.

**- რამდენად ხელსაყრელია დღეს საქართველოში შექმნილი საინვესტიციო გარემო უცხოელი ბიზნესისთვის?**

- პირდაპირი პასუხი ამ შეკითხვაზე არ არსებობს. 10 წლის პერსპექტივაში თუ ვილაპარაკებთ, უფრო მიმზიდველია, ვიდრე 10 წლის წინ იყო. აქ ბევრი პრობლემებიც არის და ძალიან დიდი პერსპექტივებიც.

**- ახალი ინვესტორები რას უფრთხიან, რას თვლიან რისკად?**

- ამ 10 წლის განმავლობაში 80 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია უკვე გავაკეთეთ. ჩვენი უცხოელი ინვესტორები ახალ პროექტებში, მინიმუმ, 60 მილიონი დოლარის ინვესტირებას ფიქრობენ. ხალხი, ვისაც ამ ქვეყანაში მუშაობის გამოცდილება აქვს, დამატებითი ინვესტიციის შემოტანას გეგმავენ, რაც იმის ნიშანია, რომ ბაზარზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, მოთხოვნა იზრდება. ეს კი, თავის მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა არის.

**- მილიარდიანი ინვესტიციით ინფრასტრუქტურულ ბიზნესში ყაზახები შემოდიან. რამდენად კონკურენტუნარიანი გარემო ხვდებათ მათ აქ?**

- მსხვილი ინვესტიციების შემოსვლა იმის მანიშნებელია, რომ ის დარგები, სადაც ჩვენ ვართ, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და ვითარდება. ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით.

ბიზნესკომპანიას შეიძლება ჰქონდეს კონკურენტუნარიანი უპირატესობები – ჭკვიანი ხალხი, ტექნოლოგიები. ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი არის ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა, სასტუმროები კი ტურიზმის ინფრასტრუქტურის ნაწილია. საქართველოში არის ბუნებრივი კლიმატური პირობები, მდიდარი ისტორიული წარსული, კულტურული მემკვიდრეობა. ახლა შესაქმნელია ინფრასტრუქტურა.

**- თქვენმა კომპანიამ ისტორიისა და ბიზნესის შერწყმა განიზრახა. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი სამუზეუმო ქუჩის იდეა იყო. რა სტადიაშია ეს პროექტი?**

- ეს პროექტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სწორად უნდა წარმოჩინდეს და დაიგეგმოს ჩვენი მემკვიდრეობა. ამიტომაც დაარსდა სამუზეუმო ქუჩის ფონდი, სადაც გაერთიანდნენ კერძო ბიზნესი (ჯი ემ თი ჯგუფი), სახელმწიფო - მერიის სახით და საზოგადოება – ეროვნული ბიბლიოთეკისა და მუზეუმების სახით. ეს იყო საქართველოში ასეთი ტიპის კავშირის ერთ-ერთი პირველი მცდელობა. საინტერესოა, როგორ შეერწყმება ერთმანეთს ბიზნესი და მემკვიდრეობა. ფონდი იმისთვის შეიქმნა, რომ მან დაგეგმოს განვითარება და იდეები მოიზიდოს. ჩვენ ამ პროექტებით საკუთარ თავს ანგარიშვალდებულს ვხდით საზოგადოების წინაშე და მეორე მხრივ, საზოგადოებას ამ არხით ვაწვდით ინფორმაციას ჩვენი საქმიანობის შესახებ.

რა თქმა უნდა, ბიზნესს ისევე, როგორც ყველა სუბიექტს, საკუთარი ინტერესები აქვს. საზოგადოებისა და ბიზნესის თანამშრომლობა ამ ფორმით, სადაც ისინი ერთად ჯდებიან, აბალანსებენ და ერთმანეთს ინფორმაციას უზიარებენ – ძალზე მნიშვნელოვანია. ამ ინტერესების თანხვედრისა და თანამშრომლობის სწორი პირობები შემუშავდა და ეს რომ მოხერხდა, ფონდის (თავმჯდომარე ბატონი დავით ლორთქიფანიძეა) და მერიის დიდი დამსახურებაა. ახლაც მიმდინარეობს მუშაობა ფრანგ არქიტექტორთან ერთად.

**- თქვენი კომპანია ისტორიული სასტუმრო „ორიენტის" (ყოფილი მხატვრის სახლი) მესაკუთრეა. ეს თბილისში არის უკანასკნელი ადგილი, რაც ჩვენი ქვეყნის უმძიმეს წლებს გვაგონებს. როგორ აპირებთ ამ ტერიტორიის განვითარებას?**

- ამ ობიექტისადმი საზოგადოების ინტერესი ძალზე დიდია. ეს ინტერესი ადგილმდებარეობითაც არის გამოწვეული და მისი ისტორიითაც. ეს სამუზეუმო ქუჩის ნაწილია. ამიტომაც, გადავწყვიტეთ სერიოზული საერთაშორისო კონკურსის მოწყობა. ამ გზით დიდია კარგი პროექტის მიღების ალბათობა. ჩვენი მიზანი მრავალფუნქციური შენობის განვითარებაა. ვგეგმავთ, რომ იქ იყოს ბიზნესისა და ხელოვნების ცენტრი, იყოს სასტუმროც, ოფისებიც და საგამოფენო, სამუზეუმო საკონფერენციო სივრცეებიც.

**- რა პირობები ჩაიდო კონკურსში?**

- დავიქირავეთ მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „მეისი", რომელიც პროექტების მართვის სფეროში ლიდერია. „მეისის" გამოცდილების სიაში ირიცხება ისეთი პროექტები, როგორიცაა ლონდონის "სითი ჰოლი", დუბაის ცნობილი სათხილამურო კომპლექსი...

"ჯი ემ თი ჯგუფმა" და "მეისმა" რამდენიმე ათეული არქიტექტორული კომპანიიდან შეარჩია შვიდი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ დახურულ საერთაშორისო არქიტექტორულ კონკურსში. მნიშვნელოვანი იყო ამ კომპანიების ისტორიულ ზონებში ღირსშესანიშნავი მრავალფუნქციური შენობების დაპროექტების გამოცდილება. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ამერიკული, ინგლისური, დანიური, ავსტრალიური, ქართულ-ჰოლანდიური არქიტექტორული ჯგუფები. ჟიური, რომლის წევრებიც არიან საერთაშორისო არქიტექტორული წრეების წარმომადგენლები, მათ შორის ბრიტანელ არქიტექტორთა სამეფო კავშირ RIBA-ს ყოფილი პრეზიდენტი პოლ ჰეიეტი, მაისის თვის დასაწყისში საზოგადოებას კონკურსის შედეგებს გააცნობს და გამოავლენს გამარჯვებულ არქიტექტორულ კომპანიას. გეგმის თანახმად, 2007 წლისთვის უნდა დასრულდეს პროექტირების სტადია და დაიწყოს სამშენებლო სამუშაოები, რომელიც 2009 წლისთვის დასრულდება. მხოლოდ ამ პროექტის დაახლოებითი ღირებულება 45 მილიონი დოლარია.

რაც შეეხება, მთაწმინდაზე მდებარე რესტორანს, რომელიც თბილისისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობაა. ახლა იქ სამუშაოები მიმდინარეობს. ზაფხულში გვექნება საბოლოოდ ჩამოყალიბებული დიზაინი. ეს იქნება მრავალფუნქციური შენობა მაღაზიებით, რესტორნით, შეხვედრების და საბანკეტო დარბაზით, პატარა კაფეებით და სხვა. გარედან ის არ შეიცვლება, ისე როგორც სასტუმრო „თბილისი" არ შეცვლილა. შიგნით კი უფრო დამშვენდება. ამ ადგილის არასწორად მოვლა არ შეიძლება. სამწუხაროდ და საბედნიეროდ, ისეთ ადგილებთან გვაქვს შეხება, რომელსაც საზოგადოება ლუპით აკვირდება, ასე რომ, საქმეს ფაქიზად ვუდგებით.

### TV5 MONDE
### 10 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** გადაშენების გზაზე მყოფი ზვიგენები. დოკ. ფილმი. **10.00** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** უადაგუდუ. ღმერთების პორტრეტები. დოკ. ფილმი. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** ხე, მერი და მედიათეკა. მხ ფილმი. რეჟისორი ერიკ რომერი. 1993. **19.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.35** ბაქანი N1 ტელესერიალი. **24.00** შვიდი წლის რომ ვიყავი. მხ ფილმი. რეჟისორი ირენ ჟუანე. 2002. **02.15** გადაცემა: თვეში ერთხელ.


### გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







### სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91) აცხადებს ტენდერს ავტომობილების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - 3 (სამი) ცალი მსუბუქი ავტომობილი
**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი

- **მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52
- **მიწოდების სასურველი ვადები**: ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 კვირა.
- შესასყიდი საქონლი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

მსუბუქი ავტომობილი (ახალი)

- ძრავის მოცულობა არა უმეტეს 2000 სმ3 და არა ნაკლებ 1600 სმ3
- საწვავი - ბენზინი ან დიზელი
- ადგილთა რაოდენობა - 5
- კარების რაოდენობა - 4
- ელექტრო პაკეტი
- სედანის ტიპის
- უსაფრთხოების ბალიშები
- ცენტრალური ჩამკეტი
- კონდიციონერი ან კლიმატ კონტროლი
- მაქსიმალური კომპლექტაცია

**აუცილებელი პირობა:**

- მსუბუქი ავტომობილები უნდა იყოს ერთი მწარმოებლის.
- მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს შემოთავაზებულ ავტომობილებზე მწარმოებლის ავტორიზებული სერვის-ცენტრი საქართველოში.
- გარანტია ავტომობილებზე უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი.
- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ფასი უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადსა და გადასახდელს, რომელიც საჭირო იქნება ავტომობილის საკუთრებაში გადაცემასთან.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 30 მარტის 15 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 30 მარტს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N214.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოადგინონ საგადასახადო სამსახურიდან);

გ) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროდან);**

**ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა **(ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან რაიონის მიხედვით);**

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (**ცნობა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან).**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რევიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს ლიკვიდაციის, გაკოტრების ან სანაციის საქმე (**ცნობა წარმოადგინონ სასამართლოდან);**

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ**;**

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300023133
**ა/ა** N 200122900

- ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე, ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი**

# ვიწვევთ საკონსულტაციო მომსახურების შემომთავაზებლებს შესარჩევად

შპს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (გტზ) , რომელიც წარმოადგენს გერმანიის ფედერაციის მთავრობის საკუთრებას, მსოფლიო მასშტაბით ფუნქციონირებადი მდგრადი განვითარების ხელშემწყობი საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებაა. ის პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების პრაქტიკულ და მომავალზე ორიენტირებულ გზებს გვთავაზობს გლობალიზებულ სამყაროში. გტზ-ი ხელს უწყობს კომპლექსურ რეფორმებსა და ცვლილების პროცესებს, რაც ხშირად რთული პირობების ფონზე ხორციელდება. მისი საზოგადო მიზანი ადამიანთა ცხოვრების პირობების გრძელვადიანად გაუმჯობესებაა.

გტზ-ი ძირითადად გერმანიის ფედერაციის მთავრობისთვის მუშაობს. გტზ-ის მთავარი დამკვეთია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო. გარდა ამისა, კომპანია ოპერირებს გერმანიის სხვა სამინისტროების, პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო დამკვეთების დავალებითაც, როგორებიცაა ევროკომისია, გაერო და მსოფლიო ბანკი, ასევე კერძო საწარმოების დავალებითაც. დღეისათვის გტზ-ი ახორციელებს დაახლოებით 2700 განვითარების პროექტსა და პროგრამას 130-ზე მეტ ქვეყანაში.

გერმანულ-ქართული ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურმა სამინისტრომ დაავალა გტზ-ს პროექტის **"საქართველოს აგრარულ სექტორში სურსათის ხარისხისა და უვნებლობის გაუმჯობესება"** განხორციელება. პროექტს განზრახული აქვს ხელშეკრულებრივად დაუკავშირდეს საკონსულტაციო სერვისებს შემდეგი პირობების ფარგლებში:

**საკონსულტაციო მომსახურებები ჰიგიენის სფეროში სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე**

**ძირითადი მიზანი**

საკონსულტაციო მომსახურების ამოცანაა, შემუშავდეს და გამოიცადოს მარტივი ჰიგიენური ზომები და პროცედურები, რომელთა გამოყენება შეეძლება საქართველოს სოფლების მოსახლეობას სურსათის წარმოებისას და გადამუშავებისას ამ პროდუქტთა ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.

**სპეციფიური მიზნები**

- საქართველოს შერჩეულ რეგიონებში ჰიგიენის სიტუაციის, მოსახლეობისთვის ჩვეული ჰიგიენის დაცვის მეთოდებისა და საშუალებების ანალიზი.
- მარტივი, ადვილად შესასრულებელი საშუალებების განვითარება სამუშაოს პროცესში ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად, ხელმისაწვდომი რესურსების სრულად გამოყენების გზით.
- ამ პროცედურების გამოცდა მოსახლეობაში და მათი მისადაგება ხალხის მოთხოვნა-შესაძლებლობებზე, რათა ისინი მისაღები გახდეს მოსახლეობისთვის.
- მეთვალყურეობა იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ამ პროცედურების გამოყენება პროდუქტების ჰიგიენურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებული აქცენტით რძესა და ყველზე.

**ძირითადი საქმიანობები**

1.1 შერჩეულ სამ რეგიონში მომზადდება და ჩატარდება მცირე გამოკვლევები ჰიგიენის სიტუაციის, ასევე ფერმერების, მათი ცოლებისა და მცირე (გადამამუშავებელი) მეწარმეთათვის ჩვეული ჰიგიენის დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.

1.2 ჩატარდება მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და გადამუშავებული პროდუქტების ანალიზი, რათა დადგინდეს მნიშვნელოვანი მიკროორგანიზმებითა და სხვა უცხო ნივთიერებებით გამოწვეული დაბინძურებები.

1.3 მომზადდება სტატუს კვოს მცირე მიმოხილვა ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც მოცემული იქნება არსებული სიტუაციის აღწერა, ლაბორატორიული მონაცემები და მათი მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან.

2.1 შემოწმდება არსებული რესურსები ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად ხელმისაწვდომი საშუალებების გამოსავლენად.

2.2 შემოწმდება უმნიშვნელოვანესი დამაბინძურებელი გარემოებები ფერმერთა და მცირე მეწარმეთა გარემოცვაში.

2.3 გაანალიზდება ფერმერთა და მცირე მეწარმეთა ის ჩვევები(სქესის დიფერენცირებით), რომლებიც გავლენას ახდენენ ჰიგიენურ პირობებსა და პროდუქტის ხარისხზე.

2.4 ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილებების გამოყენებით შემუშავდება და შეთავაზებული იქნება ჰიგიენის მარტივი ზომები, რომელთა გამოყენება არ გაუჭირდებათ ფერმერებსა და მცირე გადამამუშავებლებს თავიანთი პროდუქტების ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

3.1 შეიქმნება მოკლე და მარტივი სახელმძღვანელო (ბროშურა) ქართულ ენაზე შემოთავაზებული მეთოდების გამოყენების შესახებ.

3.2 შერჩეულ ტერიტორიებზე ჩატარდება შემოთავაზებული მეთოდებისა და ბროშურების საველე გამოცდა, ხოლო მინიმუმ 10 ფერმერს, ფერმერის ცოლს, მცირე მეწარმესა და სხვა მომუშავეს ჩაუტარდება სწავლება მეთოდების გამოყენებაში.

3.3 უბრალო და დამაჯერებელი ხერხებით წარმოდგენილი იქნება ამ ზომების/მეთოდების ეფექტურობა და აღებული იქნება ნიმუშები შემდგომი ანალიზისათვის.

3.4 საცდელად შერჩეულ მოსახლეობასთან ერთად განიხილება მეთოდების გამოყენებაში შესაძლო პრობლემები, რათა ხალხს გაუადვილდეს ადაპტაცია.

3.5 შეთავაზებული მეთოდები და სახელმძღვანელო გაუმჯობესდება აქ დაგროვილი გამოცდილებების გათვალისწინებით.

4.1 საცდელ პირებთან ერთად მოეწყობა შეჯამება, რათა შემოწმდეს შეთავაზებული მეთოდების მათ მიერ გამოყენება სულ მცირე სამი თვის განმავლობაში.

4.2 საცდელი პირებისგან მიიღება რჩევები მეთოდების გამოყენების სიძნელეების ან შესაძლო გაუმჯობესებების შესახებ.

4.3 ამ პერიოდის განმავლობაში დროდადრო აღებული იქნება სინჯები, რათა დადგინდეს საცდელი პირების მიერ ნაწარმოები პროდუქტის ჰიგიენის ხარისხის განვითარება.

4.4 სამი თვის შემდეგ ჩატარდება გამოკვლევა ყველა საცდელი პირისა და ასევე გასაკონტროლებლად მეზობელთა ჯგუფის მონაწილეობით, რათა გაანალიზდეს შეთავაზებული მეთოდების გამოყენებაში არსებული სიძნელეები, სარგებლობები და მათი მისაღებობა.

4.5 შემუშავდება დასკვნითი რეპორტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომელსაც თან დაერთვება ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ანალიზი, ჩატარებული სამუშაოს შეჯამება და რეკომენდაციები შემდგომი მოქმედებისათვის.

**ვადები და სახსრები**

- დაგეგმილი საქმიანობები უნდა განხორციელდეს 2006 წლის აპრილიდან სექტემბრამდე პერიოდში.
- 1-ლი პუნქტის საქმიანობებისთვის მაქსიმუმ 15 დღე, 9 საველე დღის ჩათვლით კვლევებისა და დაკვირვებებისთვის, რაც ასევე გამოყენებული უნდა იქნას მე-2 პუნქტის საქმიანობებისთვისაც. პირველი რეპორტი 20.04.06-მდე.
- მე-2 პუნქტის საქმიანობებისთვის მაქსიმუმ 10 დღე. მეორე რეპორტი წარმოდგენილი უნდა იყოს 30.04.06-მდე.
- მე-3 პუნქტის საქმიანობებისთვის მაქსიმუმ 30 დღე, უშუალოდ ფერმერებთან და მცირე მეწარმეებთან საველე სამუშაოების 12 დღის ჩათვლით. სახელმძღვანელო უნდა მომზადდეს და მიღებულ იქნას 31.05.06-მდე.
- მე-4 პუნქტის საქმიანობებისთვის მაქსიმუმ 20 დღე, ფერმერებთან და მცირე მეწარმეებთან ვიზიტების, მეთვალყურეობებისა და გამოკითხვებისთვის გათვალისწინებული 12 დღის ჩათვლით. დასკვნითი რეპორტი წარმოდგენილი უნდა იყოს 15.09.06-მდე.
- სამუშაო დღეების საერთო რაოდენობაა მაქსიმუმ 75, საველე სამუშაოებისთვის გათვალისწინებული 33 დღის ჩათვლით.
- 90 სინჯი მიკრობიოლოგიური და ნაწილობრივ ქიმიური ლაბორატორიული ანალიზისათვის.

გთხოვთ, თქვენი შემოთავაზება, რომელიც უნდა შედგებოდეს
- ტექნიკური შემოთავაზებისა, და
- განცალკევებული ფინანსური შემოთავაზებისგან,

წერილობითი ფორმით, ქართულ და ინგლისურ ენებზე მიაწოდოთ ბატონ დავით კალანდაძეს **2006 წლის 30 მარტის (ორშაბათი) 18:00 საათამდე** Gtd-ის თბილისის ოფისში, მისამართზე - შარტავას 41, 0160 თბილისი.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზება **ორი განცალკევებული, დახურული და დაბეჭდილი კონვერტით,** რომლებზეც გარკვევით იქნება აღნიშნული:

**1. "ტექნიკური შემოთავაზება - ჰიგიენა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე", gtz-ის პროექტი "საქართველოს აგრარულ სექტორში სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება"**

**არ გაიხსნას შესაფასებელ სხდომამდე**

ტექნიკურ შემოთავაზებაში აღწერილი უნდა იყოს მომსახურების შემომთავაზებლის გამოცდილება, ასევე უნდა იყოს ახსნილი, როგორ ხდება მის მიერ აქ მოცემული პირობების ინტერპრეტაცია და რამდენად ეთანხმება მათ. დააზუსტეთ შემოთავაზებული ანალიზების რაოდენობა და ფორმა. მიუთითეთ ლაბორატორიის აკრედიტაცია, რომელიც ჩაატარებს დიფერენცირებულ ანალიზს. ნუ მიუთითებთ ფასებსა და ხარჯებს ტექნიკურ შემოთავაზებაში!

**2. ფინანსური შემოთავაზება - ჰიგიენა სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე",Gtd-ის პროექტი "საქართველოს აგრარულ სექტორში სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება"**

**არ გაიხსნას შესაფასებელ სხდომამდე**

ფინანსურ შემოთავაზებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ტექნიკურ შემოთავაზებაში მოცემული მომსახურებების ფასები ერთეულებზე და შუალედური და საბოლოო ჯამები, ქართულ ლარებში. გთხოვთ, მიუთითოთ ნეტო ღირებულებები.

შემოთავაზებების შემუშავებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი:
- გთხოვთ, წესისამებრ ხელმოწერილი და ბეჭედდარტყმული წარმოადგინოთ როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური შემოთავაზებები.
- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გტზ-ი არ არის ვალდებული დადოს ხელშეკრულება, თუკი ტექნიკური და/ან ფინანსური შემოთავაზება არ იქნება მისაღები.

## შპს "თეგეტა მოტორსი" აცხადებს ვაკანსიას სატვირთო ავტომანქანების გაყიდვების მენეჯერის და ავტოსათადარიგო ნაწილების თანამდებობაზე

კანდიდატის საკმალიფიკაციო მოთხოვნებია:
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება საავტომობილო დარგში
2. რუსული და გერმანული ენების სრულყოფილი ცოდნა
3. საოფისე (MS Word, Excell) პროგრამების ცოდნა
4. კომუნიკაბელური, კარგი პიროვნული თვისებები და მოლაპარაკების წარმოების უნარი
5. კლიენტთა მომსახურების ზოგადი პრინციპების ცოდნა

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ბიოგრაფიული მონაცემები (CV). ერთი ფოთოსურათი, დიპლომის ასლი

საბუთები წარმოადგინეთ შემდეგ მისამართზე:
შპს "თეგეტა მოტორსი"
დიღმის მას. VI კვარტ. 22 ბ კორპ.
ტელ.: 52 49 33 ფაქსი: 52 49 22 ელ.ფოსტა: info@tegetamotors.ge

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს."რუსთავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური-03 " აცხადებს ღია ტენდერს დაახლოებით 48000 ლიტრის მოცულობის საწვავის ( ბენზინი და დიზელის საწვავი) შეძენაზე.

2. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც "სახალხო ბანკი"-ს რუსთავის ფილიალში (ბ.კ. №220101413) სადაც რუსთავის ხაზინას (ა.ა. № 33030001) გახსნილი აქვს ანგარიში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

3. ნებისმიერი პრეცედენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის:ქ. რუსთავი დუმბაძის № 1 , შ.პ.ს. "რუსთავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური -03") სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციას.

4. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა გამოცხადების დღიდან 2006 წლის 30 მარტის 18 სთ-მდე.

5. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დახურულ წინადადება დახურულ კონვერტში 2006 წლის 31 მარტს 10-16 სთ-მდე.

6. პრედენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას , თუ იგი ვერ წარმოადგენს 5-ე პუნქტში აღნიშნულ ვადაში 7-ე ან 8-ე პუნქტში ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს:

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას**:

.მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).

.მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება(ცნობა სასამართლოდან)

.არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია(შესაბამისი საგადასახადოდან).

.მისი ხემძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

8.**საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

.მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრევის საქმის საქმის წარმოება( ცნობა სასამართლოდან.

.უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

9.წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულიად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მინაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას.

10. საკვალიფიკაციო დოკუმენტის და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 31 მარტს 16 სთ-ზე.

11.სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, დუმბაძის № 1, შ.პ.ს. "რუსთავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური-03"

ტელ: 824-15- 61- 13

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის N60 საფოსტო ინდექსი 0102; აცხადებს ღია ტენდერს 5 ლოტად ინფორმაციის დასამუშავებელი კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების შესყიდვაზე.

I ლოტი. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: სერვერი რაოდენობა: 1 ცალი; Packaged Cluster of 2 Rack Mountable Servers with Modular Smart Array 500; CPUs Speed: not less than Xeon 3.6GHz; Number of CPUs: not less than 2 (for each server); RAM: not less than 4GB (for each server); Hard Drives:not less than 36GB, SCSI, HOT-PLAG, total supported not less htan 6 (for each server); NIC: Dual Port Gigabit Server Adapter (for each server); RAID Controller: Dual Channel SCSI Controller, Ultra320, RAID 0,1,1+0,5, Read cache: 64MB and 128MB battery-backed write cache (for each server); Graphics Adapter: not less than 8MB RAM (for each server); Tape Backup: Internal, not less than 72GB (for 1 server only); Optical Drive: Internal CD-ROM, not less than 24x (for each server); Floppy Disk Drive: Internal, 1.44MB, 3.5" (for each server); Power Supply: not less than 550W + second redundant power supply (for each server); Keyboard: Standard Windows 104-key, Eng/Rus; Mouse: PS/2, Scroll; Interfaces: 1x Serial, 2x PS/2, 3x USB (for each server); Shared Storage: SCSI, Ultra320 connection to hosts, Hot-pluggable SCSI drive bays: not less than 14, Total capacity supported: not less than 4.2TB; Hard Drives for Storage: Total capacity: not less than 432GB (6*72GB preferred), Hot-plug SCSI, not less than 10000rpm; Rack for Cluster: not less than 14U height; გარანტია: მინ 2 წელი;

II ლოტი. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: უწყვეტი დენის წყარო UPS რაოდენობა: 1 ცალი; Output power capacity: i 1.5 kVA; Type: Smart; Input frequency: 50/60 Hz +/- 5 Hz; Input voltage adjustable range for main operations: 160 - 286 V; გარანტია: მინ 1 წელი;

III ლოტი. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: უკაბელო კავშირის საქსელო მოწყობილობა რაოდენობა: 3 ცალი; standard: IEEE 802.11g, IEEE 802.11b; Manageable Module: Yes + Web interface; გარანტია: მინ 2 წელი;

IV ლოტი. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: პრინტერი ა) ქსელის პრინტერი რაოდენობა: 5 ცალი; Printing Process: Black & White Laser with Duplex printing; Print Speed; Min 21 ppm; Print Resolution: 1200 dpi; Memory: Min 64MB; Max Media Size: A3; Print Resolution: 1200 dpi; Print Languages, Std: PCL and Poscript Mode; Duplex printing unit: yes; LAN: 10/100; გარანტია: მინ 1 წელი;

ბ) მხედველობა დაქვეითებულთა პრინტერი რაოდენობა: 1 ცალი; Documentation Format: Braille, Electronic, Large Print; Interface/Port: Ethernet, Parallel Port, Serial Port, USB Port; Characters per line (cpl): 42; Print Speed (characters per second): Not less then 100 cps (characters per second); Speech Output: Yes; Page Length: Variable; Paper Feed: Single-Sheet; Paper Type: Heavy, Light, Plastic; Paper Weight: Cut paper weight: 90-180 gsm; Adjustable Character Height: Yes; double sided Interpoint: Yes; Single-Sided: Yes; Specialized Printing Formats: Custumizable formats for any language or situation; Text Buffer: Min. 512 kB (500 braille pages); Sound Level: 65 dB; გარანტია: მინ 1 წელი;

V ლოტი. შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობაა: ხელის მობილური პერსონალური კომპიუტერი რაოდენობა: 23 ცალი; Operating systems installed: Windows Mobile™ 5.0 software - premium Edition; Enhanced security: CREDANT Technologies; Processor: 520 MHz Connectivity, std: Wi-Fi (802.11b), Bluetooth® wireless technology, Serial IR; Expansion slot: Integrated Compact Flash Type II (CF) and Secure Digital (SDIO) slots - Supports SD/MMC type standard, SDIO ready; Memory, std.: 128 MB total memory (64 MB ROM and 64 MB SDRAM); Up to 65 MB user available memory; Display: 3.5" Transflective TFT QVGA; 64K colors; portrait and landscape mode; Input type: Touch-sensitive display for stylus or fingertip; Audio: Integrated microphone, receiver, speaker and one 3.5 mm stereo headphone jack, MP3 stereo (through headphone jack); Weight : max 170 gr.; გარანტია: მინ 1 წელი;

2. I, II, III, IV და V ლოტში შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოქმედ სახელმწიფო სტანდარტებს და შეესაბამებოდეს მოთხოვნილ ტექნიკურ მახასიათებლებს, აგრეთვე უნდა გააჩნდეს ISO 9001 ან წარმოშობის სერტიფიკატი I, II, III, IV და V ლოტში შესასყიდი საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს DDP პირობით შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის N60. საქართველოს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისში.

3. I, II, III, IV და V ლოტში შესასყიდი საქონლის სავალდებულო მოწოდების ვადაა: გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. ღია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, ბანკში "ბაზისბანკი" ანგარიშის N133298; კოდი 220101956; განცხადების გამოქვეყნებიდან 2006 წ. 31 მარტის 17 სთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის N60, საქართველოს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისში, სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისთთან ბატონ ი. ხურციძესთან.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა 03.04.2006 წ. 10 სთ-დან 7.04.2006 წ. 15 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის N60, საქართველოს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისში, სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისთთან ბატონ ი. ხურციძესთან.

4. პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ (პირის რეგისტრაციის ადგილის რაიონული სასამართლოდან);

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა, რომ მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა (ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (პირის საცხოვრებელი ადგილის რაიონული სასამართლოდან)

5. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (სპეციფიკური ტექნიკური ნაწილი ინგლისურად) მოხდება 2006 წლის 7 აპრილს დღის 15.00 სთ-ზე, პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. პრედენდენტებს უფლება აქვს წარმოადგინონ თითოეულ ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება.

9. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

*ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ ი. ხურციძეს მისამართზე: ქ.. თბილისი, ი. ჯავახიშვილის N60, საქართველოს შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფისი, ტელეფონი: 24 10 31 ; მობ. 8 99 94 67 97.*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამის - "ციტრუსოვანთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრყოლის ღონისძიებების ხელშეწყობა" განხორციელების მიზნით აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ძველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი.

შესყიდვის ობიექტი - ციტრუსების ვერცხლისებური ტკიპას საწინააღმდეგო აკარიციდი, რომელიც დაშვებელია საქართველოში გამოსაყენებლად საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ივლისის 2-168 ბრძანების შესაბამისად

აკარიციდის საჭირო რაოდენობა - მოწოდებული უნდა იქნას 835 ჰექტარი ციტრუსის პლანტაციის ერთჯერადი წამლობითი ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა

-მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 10 მაისამდე

-მიწოდება უნდა განხორციელდეს ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში შემსყიდველის მიერ მითითებულ საკრებულოებზე

-დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რესთაველის ქ. №6, მე-2 სართული, ოთახი 11 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია.

-საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისათვის**

-ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა ტენდერში მონაწილეობის მსურველს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

-ჯნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

-ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

-ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე

ფიზიკური პირისათვის

-ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია

-ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორჯ ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის

-ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან

-რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ხელმყღვანელის სახელი და გვარი, საიდენტიფიკაჯიო კოდი, საბანკო რეკვიზიტები)

-წინა წლებში ანალოგიური მომსახურების შესახებ ინფორმაცია.

-მოსაწოდებელი საქონლის შეფასებისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატედერო მოსაკრებლის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 10 მარტიდან 3 აპრილის 17.00 საათამდე.

-სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სახაზინო კოდი - 105

ანგ. N 000 142 101 საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, ბანკის კოდი 220 501 102, საიდენტიფიკაციო კოდი - 245 444 844.

გადასახადის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

-ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით 2006 წლის 5 აპრილის 9.00 საათიდან 17.00 საათამდე და 6 აპრილის 9.00 საათიდან 13.00 საათამდე ზემოაღნიშნულ მისამართზე

-სატენდრო წინადადების გახსნა მოხდება ტენდერში მონაწილეების თანდასწრებით 2006 წლის 5 აპრილის 13.00 საათზე

-საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების შერჩევა მოხდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის თანახმად

შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოძენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი

-ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება

-ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს.

საკონტაქტო პირი: ავთანდილ ცინცქილაძე - სატენდერო კომისიის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე.

ტელ: (888 222) 7-20-76. მობილური: 893 34-32-01

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის შესახებ

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოზრდილთა სტაციონარული სამედიცინო დახმარებბს უზრუნველთოფაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1) დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია ეროვნული ბანკით სახაზინო კოდი 302003000, ანგარიში 200122900, მიუთითეთ სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე ქ თბილისი 9 აპრილის (ჩიტაძის) 12 ოთახი 35 რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტებია მოზრდილთა სტაციონარული დახმარების ქვემოდასახელებული საქმიანობები

- ქირურგია ზოგადი
- ქირურგია ჩირქოვანი
- ტრავმატოლოგია და ორთოპედია
- ნეიროქირურგია
- უროლოგია
- პროქტოლოგია
- ანესთეზიოლოგია
- კრიტიკული მედიცინა
- ზოგადი თერაპია
- კარდიოლოგია
- ნევროლოგია
- ენდოკრინოლოგია
- ალერგოლოგია
- ფსიქოთერაპია და ფსიქო-სომატურ დარღვევათა რეაბილიტაცია

შენიშვნა: აუცილებელ პირობას წარმოადგენს პაციენტთა სათანადო (დიეტური) კვებითა და საწოლის ქვეშაგებით უზრუნველყოფა

დაინტერესებულ პირებს კონკრეტული საკითხების დაზუსტება შეუძლიათ ქ თბილისი 9 აპრილის (ჩიტაძის ) 12

მიწოდების ადგილი - ქ თბილისი 9 აპრილის (ჩიტაძის) 12

მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად მოთხოვნიდან 2006 წლის ბოლომდე

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2006 წლის 30 მარტის $11^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე შემდეგ მისამართზე ქ თბილისი 9 აპრილის (ჩიტაძის) 12

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციასჟ

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის

გ) სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი უფლება (ლიცენზია)

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციასა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან მერაბ გოცირიძე ტელ 99-70-69^ 877-41-58-24 რომან რობაქიძე ტელ 93-14-43, 877-41-51-97

სატენდერო კომისია

უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ტენდერს რუსული და უცხოური ავტომანქანების სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვა-მომსახურებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. N4, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| სხვადასხავ სახის საბურავები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|
| ლოტი 1 _ R13 175X70 | 32 | ქ. თბილისი ქიზიყის ქ. 5 |
| ლოტი 2 _ R14C 195 | 80 | |
| ლოტი 3 _ R15 205/75; 840/15 | 200 | |
| ლოტი 4 _ R16 205X70 | 24 | |
| ლოტი 5 _ კამაზი 1200 400X533 | 120 | |
| ლოტი 6 _ ურალი 1100 400X533 | 30 | |
| ლოტი 7 _ ზილ 131 320X508 | 28 | |
| ლოტი 8 _ ზილ 130 260X508 | 8 | |
| ლოტი 9 _ ზილ 133 260X508 | 6 | |
| ლოტი 10 _ გაზ 66 320X457 | 16 | |
| ლოტი 11 _ მაზი 320X457 | 8 | |
| ლოტი 12 _ კრაზი 1300 530X533 | 8 | |
| ლოტი 13 _ ბტრ 70 | 6 | |
| ლოტი 14 _ ბრდმ | 4 | |

| სხავდასხვა სახის აკუმულიატორები | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|
| ლოტი 15 6სტ-55ა | 25 | ქ. თბილისი ქიზიყის ქ. 5 |
| ლოტი 16 6სტ-60ა | 10 | |
| ლოტი 17 6სტ-75ა | 25 | |
| ლოტი 18 6სტ-90ა | 10 | |
| ლოტი 19 6სტ-190ა | 50 | |

| სხავდასხვა სახის ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები | მიწოდების ადგილი |
|---|---|
| ლოტი 20 გაზ-2410 | ქ. თბილისი ქიზიყის ქ. 5 |
| ლოტი 21 ვაზ-2121 | |
| ლოტი 22 უაზი | |
| ლოტი 23 კამაზი | |
| ლოტი 24 გაზ-66 | |
| ლოტი 25 ზილ-130,131 | |
| ლოტი 26 გაზელი | |
| ლოტი 27 მიკორროავტობუსი "ზილი", "ბიჩოკი" | |
| ლოტი 28 ვაზ-2106-09 | |

| სხავდასხვა სახის ავტომანქანების მომსახურება | | |
|---|---|---|
| **მომსახურების ადგილი** | **დასახელება** | **რაოდენობა** |
| ლოტი 29 ქ. თბილისი | კამაზი | 12 |
| | უაზი | 30 |
| | მიკროავტობუსი გაზელი | 3 |
| | ავტობუსი ლაზი | 2 |
| | ავტობუსი "კავზი" | 1 |
| | ურალი | 5 |
| | ზილ 130 | 6 |
| ლოტი 30 ქ. თბილისი | ნივა "ვაზ-2121" | 8 |
| | ვაზ-2106 | 1 |
| | გაზ-66 | 7 |
| | გაზ-2410 | 1 |
| | ვაზ-2109 | 1 |
| ლოტი 31 ქ. თბილისი | რენო-19 | 3 |
| | ლექსუსი | 1 |
| | ვოლვო-940 | 1 |
| | ოპელი | 2 |
| | ფოლცვაგენი | 2 |
| | ნისანი | 1 |
| | მერსედესი | 3 |
| | ჯიპი | 3 |
| | ჰამერი | 1 |
| | ლენდროვერი | 3 |
| | მიკროავტობუსი ფორდ-ტრანზიტი | 11 |
| | მიკროავტობუსი მერსედესი სპრინტერი | 1 |
| | მიკროავტობუსი რენო | 1 |
| | ავტობუსი მერსედესი | 2 |
| ლოტი 32 ქ. ზუგდიდი | კამაზი | 8 |
| | უაზი | 17 |
| | მიკროავტობუსი ზილი "ბიჩოკი" | 1 |
| | ავტობუსი "პაზი" | 1 |
| | ზილ 130 | 3 |
| | კრაზი | 2 |
| ლოტი 33 ქ. ზუგდიდი | ნივა "ვაზ-2121" | 2 |
| | გაზ-66 | 6 |
| ლოტი 34 ქ. ბათუმი | ნივა "ვაზ-2121" | 1 |
| | უაზი | 3 |
| ლოტი 35 ქ. გორი | ნივა "ვაზ-2121" | 9 |
| ლოტი 35 ქ. გორი | მიკროავტობუსი ზილი "ბიჩოკი" | 1 |
| | მიკროავტობუსი გაზელი | 1 |
| | უაზი | 13 |
| ლოტი 36 ქ. ქუთაისი | უაზი | 5 |
| ლოტი 37 ქ. ახალქალაქი | უაზი | 2 |

2. მიწოდების და მომსახურების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2006 წლის ბოლომდე.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 30 მარტს 11,00 საათიდან 30 მარტის 13.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. N4.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული..

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**5. დამატებითი მოთხოვნები, უცხოური მანქანების მომსახურებაზე:**

ა) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

ბ) ავტომობილის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე შესაბამისობის სერთიფიკატის დამოწმებული ასლი (საქართველოს სერთიფიკაციის შესაბამის ორგანოდან).

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**kახა თალაკვაძე ტელ. 899 36-01-16. მაია ელბაქიძე ტელ. 899 20-13-18.**

## ტექნიკური შეცდომის გასწორება სატენდერო განცხადებაში

შპს "სანდასუფთავების" მიერ 2006 წლის 03 მარტის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ღია ტენდერის ჩატარების შესახებ საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვისათვის სატენდერო განცხადებაში და 2006 წლის 09 მარტის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ტექნიკური შეცდომის გასწორების სატენდერო განცხადებაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა.

ნაცვლად "ლოტი N3, ზეთი 1000 ლიტრი", უნდა იყოს "ლოტი N3, ზეთი 10000 ლიტრი".

**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" სატენდერო განცხადების შესწორება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 21 თებერვალს გამოცხადებული იქნა ტენდერი სხვადასხვა სახის საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობეთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლელბა, რის მიხედვითაც პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ნაცვლად 15 მარტისა უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23, 24 მარტს.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

**სატენდერო კომისია**

## ცვლილებები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში (საფინანსო ეკონომიკური შედეგების აუდიტორული შემოწმების შესყიდვაზე) 2006 წლის 21 თებერვლის "24 საათში" შეტანილ იქნეს ცვლილებები განცხადების მე-10 და მე-11 პუნქტებში.

მე-10 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით, კერძოდ: საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების შემოტანის ბოლო ვადა განისაზღვროს 2006 წლის 15 მარტის 17 საათამდე.

მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულებით: ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა მეორადი სატენდერო წინადადება ღირებულების მითითებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 24 მარტის 17 საათამდე.

შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" სატენდერო კომისია

## მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)
## საიდენტიფიკაციო ნომერი: N 110327
## გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტი N 200 266 007
## ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის სკოლის რეაბილიტაცია

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (KFW) მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის სკოლის რეაბილიტაცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხაშურის რაიონის ხცისის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან,** რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ხცისის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 10 მარტიდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე**, შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N 7ბ**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**

